პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 43 (96), კვირა, 23 დეკემბერი, 1945 წ. ფასი 1 მან.

## დღეს ნომერში

— რუსული კლასიკური დრამატურგია და ქართული თეატრი (მოწინავე).
— იოსებ ნონეშვილი — ორი ლექსი.
— ვასილ ბაიაძე — ბელადის კერასთან.
— მწერლების მონაწილეობა სსრკ უმაღლესი საბჭოს საარჩევნო კამპანიაში.
— ხარკოვის უნივერსიტეტის იუბილე.
— თეატრალური საზოგადოების პირველი ყრილობა.
— ალექო შენგელია — მესხეთი (ლექსი).
— გიორგი გიასელი — ცხრა მაისის ქუთაისი (ლექსი).
— ს. გერსამია — რუსული თეატრი საქართველოში.
— ერემია ასტვაცატუროვი — ოსტროვსკი ქართულ საბჭოთა სცენაზე.
— სერგო კლდიაშვილი — [illegible]ბები.
— გიორგი კაჭახიძე — არ[illegible] (ლექსი).
— ლევან ასათიანი — იაკობ ნიკოლაძის სახელოსნოში.
— შალვა კაშმაძე — რაჟდენ ხუნდაძე.
— ლიტერატურული ცხოვრება.
— პარმენ ჭანიშვილი — მცირე შენიშვნები.
— გიორგი ნატროშვილი — წიგნი ქართველ ქალებზე.

## რუსული კლასიკური დრამატურგია და ქართული თეატრი

ამჟამად საბჭოთა კავშირის თეატრებში მიმდინარეობს რუსული კლასიკური დრამატურგიის სპექტაკლთა დათვალიერება. დათვალიერებამ უნდა გვიჩვენოს, თუ რა ადგილი უჭირავთ საბჭოთა თეატრების შემოქმედებით ცხოვრებაში რუსული დრამატურგიის კლასიკოსებს, თუ როგორ იყენებს და ანსახიერებს საბჭოთა თეატრი რუსული კლასიკური დრამატურგიის მდიდარ მემკვიდრეობას, რამდენად ხსნის იგი კლასიკური დრამატურგიის იმ იდეურ და მხატვრულ თვისებებს, რომელიც საჭირო და აუცილებელია საბჭოთა ადამიანის შემდგომი იდეურ-მორალური სრულყოფისათვის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ დათვალიერებას ქართული საბჭოთა თეატრისათვის, რომელიც მოწოდებულია შეითვისოს და განამტკიცოს რუსული კლასიკური დრამატურგიის საუკეთესო რეალისტური ტრადიციები და ამით კიდევ უფრო გააძლიეროს ის იდეური კავშირი, რომელიც მუდამ არსებობდა ქართულ და რუსულ თეატრებს შორის.

რუსულ კლასიკურ დრამატურგიას ყოველთვის მნიშვნელოვანი, საპატიო ადგილი ეჭირა რევოლუციის წინანდელი ქართული თეატრის რეპერტუარში. ქართულ სცენაზე განსახიერებულმა გოგოლის, ა. ნ. ოსტროვსკის, ლ. ნ. ტოლსტოის, სუხოვო-კობილინის, ა. ჩეხოვის და მ. გორკის პიესებმა დიდი როლი ითამაშეს ქართველი მაყურებლის იდეურსა და მხატვრულ-ესთეტიკურ აღზრდის საქმეში, რუსულ კლასიკურ პიესებს და მათ პერსონაჟებს ქართველი მსახიობების სახით ჰყავდათ ნიჭიერი შემსრულებელნი, რომელთაც გავლილი ჰქონდათ სწორედ რუსულ კლასიკურ დრამატურგიაზე აღმოცენებული და აღზრდილი რუსული რეალისტური თეატრის სკოლა.

რევოლუციის შემდეგ უფრო გაცხოველდა ქართული საბჭოთა თეატრების ინტერესი რუსული კლასიკური დრამატურგიისადმი. ქართულმა აკადემიურმა თეატრებმა კვლავ განახლეს ა. ნ. ოსტროვსკის, ა. ვ. სუხოვო-კობილინის და ა. მ. გორკის პიესების დადგმა, ხოლო ქართველმა მოწინავე მსახიობებმა გვიჩვენეს მეტად ორიგინალური მიდგომა რუსული კლასიკური დრამის მთავარი პერსონაჟების განსახიერებაში და გამოამჟღავნეს შესრულების მაღალი კლასი და ოსტატობა. ქართველი საბჭოთა მაყურებლის ინტერესიც რუსული კლასიკური დრამისადმი, რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება და ღრმავდება, რასაც ცხადჰყოფს თითქმის მუდამ გაჭედილი თეატრის დარბაზი, როცა სცენაზე მიდის ამა თუ იმ რუსი კლასიკოსის დრამატიული ნაწარმოები. ეს გარემოება ავალებს ქართულ საბჭოთა თეატრებს კიდევ უფრო ფართოდ გაუღონ კარი რუსული დრამის კლასიკოსებს და ქართულ სცენაზე განასახიერონ პიესები ისეთი ბრწყინვალე რუსი დრამატურგებისა, როგორიც არიან გრიბოედოვი, გოგოლი, ტოლსტოი და ჩეხოვი.

მთელი განვლილი წლების განმავლობაში ქართულ სცენაზე რუსული კლასიკური დრამის ხშირი და სისტემატური განსახიერება გადაიქცა დიდ რუს ხალხთან ქართველი ხალხის სულიერი დაახლოების, იდეურ-მორალური დაკავშირების ძლიერ ფაქტორად.

რუსული კლასიკური დრამატურგია, ფონვიზინით დაწყებული და სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელის მაქსიმ გორკის დრამატურგიული შემოქმედებით დამთავრებული, თავისი რეალისტური ხასიათით და მიზანდასახულებით, მუდამ ცოცხალი, საზოგადოებრივად უაღრესად მნიშვნელოვანი მხატვრული მემკვიდრეობაა, რომელიც დღევანდელ საბჭოთა მაყურებელს აძლევს თავისი ღრმა რეალისტური სიმართლით, მდიდარი სოციალური შინაარსით, იშვიათი მხატვრული გულწრფელობით.

უაღრესად შინაარსიანი, ცხოვრების უხვი ფერებით დახატული ტიპების ვრცელი გალერეით რუსული დრამატურგიის კლასიკოსებმა გვიჩვენეს რუსეთის სინამდვილის მთელი სურათი, გამოამჟღავნეს ამ სინამდვილის წინააღმდეგობანი, ასახეს თითქმის ყველა ეტაპი რუსეთის საზოგადოებრივი პოლიტიკური ცხოვრების განვითარებისა. ამაშია სწორედ უდიდესი შემეცნებითი მნიშვნელობა რუსული დრამატურგიისა, რომელიც მუდამ აქტუალურს, ღრმა რეალისტურ ხასიათს ინარჩუნებს, როგორც თავისი მასალის, ისე მასში აღძრული პრობლემების მიხედვით. რუსული კლასიკური დრამატურგიის დიდი ღირსება ის იყო, რომ იგი გაბედულად ამჟღავნებდა თვითმპყრობელურ რუსეთის სოციალურ უკუღმართობას, მაშინდელი ცხოვრების ბნელ მხარეებს, ადამიანების გამრუდებულ, დამახინჯებულ, დაბეჩავებულ ფსიქიკასა და ყოფაქცევას. ამასთან რა დამღონებელი და ჰმუნვის აღმძვრელიც არ უნდა ყოფილიყო მის მიერ ასახული სინამდვილე, მწერალი—მკითხველსა და მაყურებელს არასოდეს არ სტოვებდა ისეთ შთაბეჭდილების ქვეშ, თითქოს ცხოვრება გამოუვალ ჩიხში იყოს მომწყვდეული, თითქოს არ არსებობდეს გამოსავალი და ყველაფერი დასაღუპად იყოს განწირული. ოსტროვსკის, ჩეხოვის, განსაკუთრებით გორკის პიესებში სინამდვილე მუდამ განათებულია ადამიანის კეთილშობილებითა და დიდბუნებოვანებით, საუკეთესო მერმისის მოლოდინით. რუს კლასიკოს დრამატურგებს ცხოვრება წარმოდგენილი აქვთ როგორც მუდმივი მოძრაობა პროგრესისაკენ, როგორც ბრძოლა ადამიანის განთავისუფლებისათვის მძიმე სოციალური ტკივილებისაგან, ყოველგვარი ნაღვლისაგან. რუსული კლასიკური დრამატურგიის შინაგანი მამოძრავებელი ძალაა ადამიანის სულიერ-ზნეობრივი ამაღლების იდეა, ანუ ილია ჭავჭავაძის სიტყვით, რომ ვსთქვათ, სოციალური უკუღმართობისაგან შელახული და დამცირებული პიროვნების გაადამიანება და განკაცება. რუსი კლასიკოსი დრამატურგები ოცნებობდნენ იმ ჯანსაღ, მაღალი მორალის ადამიანის იდეალზე, რომლის ბრწყინვალე განხორციელება მხოლოდ ჩვენს ეპოქაში გახდა შესაძლებელი.

რუსული კლასიკური დრამატურგია —ღრმა რეალისტური დრამატურგიაა. ამ დრამატურგიის რეალიზმი არის სინამდვილის: არა ზედაპირული ასახვა, არამედ გამახვილებული, გაღრმავებული ხედვა სინამდვილისა, ცხოვრების ბნელ უარყოფით მხარეებს მიღმა გამონახვა და განჭვრეტა პროგრესიული ტენდენციისა.

კლასიკური პიესების მაღალ-მხატვრული გახსნის და მათი წარმტაცი არტისტული შესრულების გარეშე მაყურებლისთვის მიუწვდომელი დარჩება სოციალურ-იდეური სიმახვილე და მრავალმნიშვნელოვანება რუსულ კლასიკურ დრამაზე აგებული სპექტაკლისა. საბჭოთა თეატრს ევალება, მთელი სისრულით და სიღრმით გახსნას და დამაჯერებლად აჩვენოს მაყურებელს რუსული კლასიკური პიესის სოციალური შინაარსი, ისე, რომ ასცდეს შიშველ ტენდენციურობას და მაყურებელს განაცდევინოს მხატვრული თავისებურება, განსაკუთრებული მხატვრული სტილი თვითეული რუსი დრამატურგისა.

საბჭოთა თეატრის წინაშე, იმ ქვეყნის თეატრის წინაშე, რომელმაც, ბრწყინვალედ შეასრულა უკეთილშობილესი და უდიდესი ისტორიული მისია, კაცობრიობისა და ცივილიზაციის გადარჩენის მისია და რომელიც ახლა იშუშებს ომისაგან მიყენებულ ჭრილობებს,—უაღრესად დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანა სდგას: ხელი შეუწყოს ომგადახდილი, გამარჯვებული საბჭოთა ადამიანის შემდგომ იდეურ-მორალურ სრულყოფას, მის აღზრდას ლენინ-სტალინის პარტიის სულისკვეთების მიხედვით. ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტისას საბჭოთა თეატრი უეჭველია მიმართავს არა მარტო თანამედროვე დრამატურგიას, არამედ რუსულ კლასიკურ დრამატურგიასაც, რომლის ღრმა იდეურობამ და მაღალმა მხატვრულობამ დიდი როლი ითამაშა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ადამიანის,—საბჭოთა ადამიანის სულის ჩამოყალიბებაში.

## ჟურნალ „კინო-ხელოვნების" განახლება

მოსკოვში განახლდა ჟურნალ „კინო-ხელოვნების" გამოცემა (სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის ყოველთვიური ორგანო). პირველ ნომერში მოთავსებული წერილები მიძღვნილია საბჭოთა კინემატოგრაფიის შემოქმედებითი პრობლემებისადმი, ფილმების იდეურ-მხატვრული ხარისხის ამაღლებისა და სხვა აქტუალური საკითხებისადმი.

ჟურნალი ილუსტრირებულია ფოტოსურათებით, რომლებიც აღბეჭდავენ გადაღებებზე მუშაობის მომენტებს და მზა ფილმების ცალკე კადრებს.

იოსებ ნონეშვილი

## ორი ლექსი

### სად არ ვიყავ, სად არა

სად არ ვიყავ, სად არა,
ცხრა მთა გადამატარა
ეტლმა წუთისოფლისამ.
მაგრამ კარგო, იცი რა?
გულმა ვერ მოიცილა
ნატვრა შენთან ყოფნისა.

უცხო ცაზეც მნათობნი
კიაფობენ ათობით,
მზესაც ოქროს ფერი სძევს,
მაგრამ სულ სხვა რამ არი
სხივებნათამამარი
საქართველოს ცხელი მზე.

ვნახე მტერთა ციხენიც,
ჩვენი დარტყმით ფიცხელით
მათი ბჭეც შეზრიალდა,
მაგრამ სულ სხვა რამ არი
ციხე-კოშკი თამარის,
მთაზე მდგარი ზვიადად.

და ლამაზი ქალებიც,
ვნებით ფერმიმკრთალები,
თითქოს ვარსკვლავებია,
მაგრამ ტრფობა იმათი,
ავხორცი და კვიმატი,
გულს არ გაჰკარებია.

სად არ ვიყავ, სად არა,
შენი ლანდი პატარა
მუდამ გვერდით დამდევდა,
ჩემს სიხარულს იყოფდა
და თუ სევდა მიხმობდა
ისიც დაიდარდებდა.

მოველ, შენთან მოველი,
განა რამეს მოველი
სიყვარულის ზღაპარო?!
მინდა მარად მზიანი,
გულის თანაზიარი
ბედის ვარსკვლავს გადარო.

სად არ ვიყავ, სად არა,
ცხრა მთა გადამატარა
ეტლმა წუთისოფლისამ.
მაგრამ კარგო, იცი რა?
გულმა ვერ მოიცილა
ფიქრი შენთან ყოფნისა.

### სურათი

ჭალაში არყის სახდელი,
არყის ხეების წყება.
ცა მტრედისფერი გამხდარა,
მთვარის ნათელიც ქრება.

ამღენხანს თვალგანახელი
ლამპარი სულსღა ლაფავს
და ერთი მთვრალი კახელი
ვეღარ ათავებს ზღაპარს.

ზღაპარია თუ მართალი,
სწვდება მსმენელთა გულებს.
დაავიწყდება ზღაპარი
და მართალ ამბავს ურევს —

კარები რკინით ნაჭედი
ვით დასცეს ერთი დაკვრით,
როგორ შემუსრეს ქაჯეთი
ნაღმსატყორცნით და ტანკით.

სხედან ქუდნაბდიანები,
ჯიხვის რქებს სცლიან ხარბად
და ყურს უგდებენ მთვრალები
გაუთავებელ ამბავს.

თითქოს ხმა ნაპერწკლიანი
ჩონგურის სიმი გალობს —
მოსჩქეფს არაყი წკრიალით,
ვით უკვდავების წყარო.

ამღენხანს თვალგანახელი
ლამპარის შუქიც ქრება.
ჭალაში არყის სახდელი,
არყის ხეების წყება.

## ბელადის კერასთან

აი, სად არის ქვეყნად ედემი,
აი, სად არის ბედნიერება
ი. გრიშაშვილი.

ამ ქოხს გარეგნულად არცერთი სასახლის სიმაღლე არა აქვს. მაინც თვალი ვერ შეგვიწვდენია მისი სიდიადისათვის. იგი ალიზითაა ნაშენი და მაინც მარმარილოსებრ სიკაშკაშე აქვს. ის შეუდარებლად მაღალი და დიადია ყველა სასახლეზე, რომელიც სადმე, ოდესმე არსებულა ქვეყნად.

ბელადის სახლი ახალი მსოფლიოს სიამაყეა. აქ თავისებურად განიცდება ისტორიის მაჯისცემა, წარმოსახვა მძაფრდება, შთაგონება ფრთებს ისხამს. თითქოს მარადიულის, ისტორიულის ნაწილაკად ვიქცევით. რა მართალი იყო რუსი პოეტი, რომელმაც აღფრთოვანებით დაიძახა: „აი, სამყაროს ცენტრი!".

მილიონების სიყვარული ადგია გუმბათად „სახლს, რომელიც ყველას ამღერებს". ვინ არ დამტკბარა მისით: ანრი ბარბიუსი და ჯამბული, პაპანინი და სტახანოვი, ვოდოპიანოვი და აკადემიკოსი ორბელი, იანკა კუპალა და პავლო ტიჩინა, უკრაინელი მემაღაროე და სომეხი მევენახე, უზბეკი მებამბე და ბელორუსი პიონერი; მეგობრობისა და სიყვარულის კვარცხლბეკად აღმართულა ეს სახლი ხალხთა გულში.

ამ ქოხზე მარად იმღერებენ სიტყვისა და ჰანგის უბრწყინვალესი ოსტატები. მაგრამ ჩვენთვის განუზომელად ძვირფასია ის არაჩუქურთმოვანი, ხალასი, გულის სიღრმიდან ამოხეთქილი უბრალო სიტყვებიც, რომლებიც შთაბეჭდილებათა წიგნში აღბეჭდილი არიან.

აი უმცროსი ლეიტენანტების — სანოძის და გოშაძის ჩანაწერი: „ყველა, ყველა ბედნიერია, ვინც ნახა ეს სახლი და აღიგზნო მისით". განა ეს მთელი ჩვენი ხალხის, სტალინური ეპოქის ადამიანთა გულის თქმა არ არის!

რა ცეცხლი და წვა უნდა ჰქონოდათ მებრძოლებს, როცა ამ სტრიქონებს სწერდნენ: „ჩვენ სიტყვას ვიძლევით — თავი დავდოთ სამშობლოსათვის".

ამ სახლს ოცნებით ეამბორებოდნენ სტალინური შევარდნები ბრძოლის ველზე წასვლის წინ და ჟრუანტელის მომგვრელ ფიცის სიტყვებს იმეორებდნენ: „ჩვენ მივდივართ ფრონტზე და ფიცსა ვსდებთ სტალინის წინაშე, რომ მტერს დავცხებთ გვარდიულად. არაფერს არ დავზოგავთ ამისთვის, თვით ჩვენს სიცოცხლესაც". რომელი მტერი დაუდგებოდა წინ ამ ფიცით გალომგულებულთ!

ცხრა მაისს, როცა გამარჯვების მზე ამობრწყინდა, ბელადის სახლი ზღაპრული სიხარულის სავანედ იქცა. შთაბეჭდილებები... შთაბეჭდილებები... შთაბეჭდილებები... „დაგვიდგა სანატრელი დღე და წუთი. ძალიან გულით გვინდა, რომ ახლა საყვარელ ძია სტალინთან ვიყვეთ" (თბილისელი მაყვალა მეიფარიანი და ხაშურელი ნელი ლაღიძე). „შთაბეჭდილება არაჩვეულებრივია და ძნელად გამოსათქმელი. ახლა გამიათკეცდა სურვილი თვით დიდი სტალინის ნახვისა". (ბორის ნონიკაშვილი). რა მახლობელია თვითეული ჩვენთაგანისათვის ეს განცდა!

ჩეხოსლოვაკიელმა პოეტმა ონდრა ლისოგორსკიმ ჩასწერა: „ეს არის ერთერთი ამაღელვებელი დღე ჩემს ცხოვრებაში! ძნელია სიტყვების პოვნა". ჩუვაშმა კაპიტანმაც იგივე იგრძნო და მთრთოლვარე ხელით აღბეჭდა: „ეს დღე სამუდამოდ ჩამრჩება ხსოვნაში".

ამ მარადი ქოხის ხშირი და საყვარელი სტუმრები არიან წითელყელსახვევიანი ბიჭუნები და გოგონები. „აი, ვნახეთ წიგნებში ბევრჯელ ნანახი და ჩვენთვის საყვარელი ადგილი — პატარა, ლამაზი სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა ძვირფასმა სტალინმა. დიდი სტალინის მზრუნველობით უზრუნველყოფილია ჩვენი ქვეყნის ბავშვთა ბედნიერება. დიდხანს იცოცხლე, ჩვენო ძვირფასო, მთელი მსოფლიოს მშრომელთა იმედო, ჩვენო მამავ და მასწავლებელო — სტალინ!".

პიონერი გოგონა სწერს: „მე ვნახე დიდი სტალინის სახლი. ამის შემდეგ კიდევ უფრო შემიყვარდა გორი". მართლაც არაფერი შეედრება იმ სიხარულს, გორის მადლიან მიწაწყალზე ფეხის მიკარებისას, რომ განიცდის ადამიანი:

„წავიდეთ კიდევ, ხშირად ვართ გორში,
მაგრამ იქ ყოფნა მომწყურდა დღესაც,
რა სჯობს ვიმზიროთ იმ ნეტარ ქოხში,
ვუმღეროთ გორის მიწას და ზეცას"

პოეტის ამ სიტყვებში მთელი ქვეყნის გულისთქმაა გამოხატული.

ვასილ ბაიაძე

## მწერალთა მონაწილეობა სსრკ უმაღლესი საბჭოს საარჩევნო კამპანიაში

ამ დღეებში მწერალთა სასახლეში გაიმართა კრება, რომელიც მიძღვნილი იყო საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს საარჩევნო კამპანიისადმი.

მოკლე მოხსენებით მიმდინარე საარჩევნო კამპანიისა და ქართველი მწერლების მონაწილეობის შესახებ ამ კამპანიაში გამოვიდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. გ. ჯიბლაძე. აღნიშნა რა ის უდიდესი აქტივობა, რომელსაც საქართველოს მშრომელნი იჩენენ ამ უაღრესად მნიშვნელოვან პოლიტიკურ კამპანიაში, მომხსენებელმა მოუწოდა საქართველოს საბჭოთა მწერლებს მთელი თავისი მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი ენერგია მოახმარონ არჩევნების მოსამზადებელ მუშაობას და არჩევნების წარმატებით ჩატარებას.

მომავალ არჩევნებში—სთქვა ამხ. გ. ჯიბლაძემ—საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო განამტკიცებს იმ პოლიტიკურ-მორალურ ერთიანობას, რომელიც ესოდენი სიძლიერით გამომჟღავნდა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს პირველი არჩევნების დროს და რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედვა საბჭოთა ხალხის ძლევამოსილ გამარჯვებას ფაშისტურ გერმანიაზე.

დიდი და მნიშვნელოვანი იყო ქართველი საბჭოთა მწერლების მონაწილეობა ამ რვა წლის წინად ჩატარებულ საარჩევნო კამპანიებში. თავიანთი მოქალაქეობრივ-პოლიტიკური აქტივობით, თავიანთი შემოქმედებითი მუშაობით ქართველმა მწერლებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მშრომელი მასების პოლიტიკურ გააქტივებაში და კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვებაში. ქართველი მწერლების აქტიურმა მონაწილეობამ წარსულ საარჩევნო კამპანიებში აამაღლა თვით ქართველი მწერლების პოლიტიკური აქტივობა და უაღრესად ნაყოფიერი გავლენა იქონია მათ მხატვრულ შემოქმედებაზე.

იმ პერიოდში ქართველი მწერლების მიერ შექმნილი არა ერთი და ორი მხატვრული ნაწარმოები, გამოხატავს რა საბჭოთა ხალხის პოლიტიკურ-მორალურ ერთიანობას, მის პატრიოტულ სულისკვეთებას, მის სიყვარულსა და თავდადებას სოციალისტური სამშობლოსადმი, **ლენინ-სტალინის** პარტიისადმი, ხალხთა დიდი ბელადის—**სტალინისადმი**, დღემდე ინარჩუნებს და კვლავაც შეინარჩუნებს თავის მხატვრულ ღირებულებას და ზეგავლენას მკითხველ მასებზე.

ჩვენი პატრიოტული მოვალეობა და თვით ჩვენი პოლიტიკურ-იდეური და მხატვრული ზრდის ინტერესები გვკარნახებს, რომ ქართველი მწერლები კვლავ უღრმესი ენტუზიაზმით ჩაებან ამ დიდად მნიშვნელოვან კამპანიაში და გააკეთონ ყველაფერი, რაც კი მათ მოეთხოვებათ, როგორც მოქალაქეებსა და როგორც მწერლებს.

გ. ჯიბლაძის მოხსენების შემდეგ გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა გაიმართა იმის შესახებ, თუ რა სახე და ფორმა უნდა მიეცეს მწერალთა მონაწილეობას საარჩევნო კამპანიაში.

კამათში მონაწილეობა მიიღეს შალვა რადიანმა, ბესო ჟღენტმა, ლევან ასათიანმა, ვანო წულუკიძემ, იოსებ იმედაშვილმა და ს. წვერავამ. ამხანაგებმა მოითხოვეს, რომ არჩევნებისათვის გამოცემული იქნას მხატვრულ ნაწარმოებთა ახალი კრებული, რომელშიაც უნდა შევიდეს არა მარტო თვით არჩევნებისადმი მიძღვნილი, არამედ ყველა ისეთი ნაწარმოები, რომელიც ასახავს საბჭოთა ადამიანის მაღალ იდეურ-მორალურ თვისებებს, მის მიერ მოპოვებულ გამარჯვებას, მის მიღწევებს სოციალისტური მეურნეობის და კულტურის ფრონტზე. ორატორები საჭიროდ სთვლიან, რომ ყოველდღიურმა გაზეთებმა ამ საარჩევნო კამპანიის დროს ფართოდ გამოიყენონ მწერალთა გამოცდილება და მხატვრული შესაძლებლობა, მიავლინონ ისინი საარჩევნო ოლქებსა და უბნებში, როგორც მიმდინარე კამპანიის, ისე იმ დიდ მიღწევების ასასახად, რომლებიც ქართველმა ხალხმა მოიპოვა ამ უკანასკნელ წლებში.

თავის მხრით მწერალთა კავშირის ორგანომ გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებამ" უფრო მეტი ადგილი უნდა დაუთმოს საარჩევნო კამპანიას და არჩევნების დამთავრებამდე სისტემატურად ბეჭდოს მასალები, ლექსები და მხატვრული ნარკვევები საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობაზე და მწერალთა მონაწილეობაზე ამ კამპანიაში. საარჩევნო მუშაობა უნდა გააჩაღოს მწერალთა კლუბმა, რომელიც ერთ-ერთ სანიმუშო საგიტაციო პუნქტად უნდა გადაიქცეს, სადაც სისტემატიურად უნდა იმართებოდეს არჩევნებისადმი მიძღვნილი მხატვრულ-ლიტერატურული საღამოები. კლუბი უნდა დაუკავშირდეს როგორც დედაქალაქის, ისე რაიონების საარჩევნო საგიტაციო პუნქტებს და სათანადო მუშაობის საწარმოებლად მათზე მიამაგროს აქტიური მწერლები. საგიტაციო პუნქტებზე უნდა ეწყობოდეს არჩევნებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოები საუკეთესო მწერლების მონაწილეობით. არცერთი საარჩევნო ოლქი და უბანი არ უნდა დარჩეს ისე, რომ ამომრჩევლებმა არ მოისმინონ მწერლის სიტყვა, საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა გამომხატველი ლექსი თუ ნარკვევი.

მწერალთა კავშირი შესძლებს იმდენად უფრო მეტი საარჩევნო ოლქისა და უბნის მომსახურებას, რამდენად უფრო მეტ მწერალს ჩააბამს საარჩევნო კამპანიაში. მწერალთაგან შედგენილი უნდა იქნეს რამდენიმე ბრიგადა, რომელშიდაც უნდა შევიდეს თითქმის ყველა აქტიური მწერალი, არ უნდა მოხდეს ის, რომ ზოგი მწერალი მეტისმეტად იქნეს გადატვირთული საარჩევნო მუშაობით, ხოლო ზოგიერთი სრულიად გამოუყენებელი დარჩეს.

მწერალთა საარჩევნო აქტივობის ასამაღლებლად და მათი მუშაობის გასაცხოველებლად ამხანაგებმა საჭიროდ ჩასთვალეს აგრეთვე უმაღლეს საბჭოს დეპუტატ მწერლების საანგარიშო მოხსენებით გამოსვლა და ამ მოხსენების ყოველმხრივი განხილვა მწერალთა კრებაზე.

საქართველოს საბჭოთა მწერლებმა არ უნდა დაზოგონ თავისი ძალღონე იმისათვის, რომ მომავალმა არჩევნებმა მოგვცეს ბრწყინვალე ნაყოფი, რომ არჩევნებმა ერთხელ კიდევ გვიჩვენოს უდიდესი პოლიტიკური შეგნება და მაღალი პატრიოტიზმი საბჭოთა ხალხისა.

## ხარკოვის უნივერსიტეტის იუბილე

ამ დღეებში შესრულდა 140 წლისთავი ხარკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების დღიდან. მთელი განვლილი დროის მანძილზე უნივერსიტეტი იყო უძლიერესი ფაქტორი უკრაინული კულტურის ზრდისა და აყვავების საქმეში. ამ უნივერსიტეტმა აღზარდა მრავალი თვალსაჩინო მეცნიერი, რომელთაც რუსული და უკრაინული კულტურის ისტორიაში უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს, მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავი არიან გენიალური რუსი მეცნიერი მეჩნიკოვი, მათემატიკოსი ლიაპუნოვი, გეოლოგი ბორისიაკი, ცნობილი ენათმეცნიერი და პოეტიკის სპეციალისტი პოტებნია და სხვები.

უნივერსიტეტის მეცნიერული და პედაგოგიური საქმიანობა განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდეგ. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ხარკოვის უნივერსიტეტი იქცა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებად, რომელმაც სოციალისტურ მრეწველობას, სოფლის მეურნეობას და სახალხო განათლებას მრავალი ათასობით ახალგაზრდა სპეციალისტი მოუმზადა.

ხსენებულ თარიღთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ ხარკოვის უნივერსიტეტმა თავისი არსებობის პირველ ათეულ წლებში ერთგვარი როლი ითამაშა საქართველოში ევროპული კულტურისა და განათლების გავრცელების საქმეში, თბილისში არსებული სასწავლებლები 1835 წლამდე ხარკოვის უნივერსიტეტს ექვემდებარებოდნენ. ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი და ერთ-ერთი პირველი რესპუბლიკელი სოლომონ დოდაშვილი—პეტერბურგიდან თბილისისაკენ მოგზაურობის დროს 1827 წელს ესტუმრა ხარკოვის უნივერსიტეტს. რექტორმა და უნივერსიტეტის მუშაკებმა მას არაჩვეულებრივად გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. რექტორმა სოლომონი თავის სახლში დაპატიჟა, ესაუბრა საქართველოს ამბების შესახებ, შეჰპირდა ყოველგვარ დახმარებას. სოლომონი ამის შესახებ სწერს: „რექტორმა წამიყვანა... სახლად თვისად, მასთან ვიმეტყველე ყოველი საჭიროება მამულისა ჩვენისა, ჰსწავლისათვის, სხვათა მრავალთა მოთხრობათა შორის. მითხრა: ეცადე მამულისა შენისათვის სარგებლად და სახელისა შენისა პატივად, რაისაც ითხოვ, ყოველივეს აღვისრულებთო, მასწავლებელს უნივერსიტეტიდან გამოგიგზავნითო" (იხ. ს. დოდაშვილის წერილები, ს. ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, საქ. მეცნ. აკად. გამოცემა, 1945 წ.).

ხარკოვის უნივერსიტეტის ღვაწლი ქართული განათლების საქმის წინაშე ცხადია მარტო ამ ფაქტით არ ამოიწურება. ეს საკითხი დაწვრილებით ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი.

## საბავშვო წიგნები

ბელორუსიის სახელმწიფო გამომცემლობა სცემს ცამეტს საბავშვო წიგნს, მათ შორის: მ. ულიანოვას „ვ. ი. ლენინის ბავშვობის და მოწაფეობის წლებს", კონონოვის „მოთხრობებს ლენინზე", ლ. ტოლსტოის „მოთხრობებს ბავშვებისათვის", ჰიუგოს „გავროშს", იაკუბ კოლასის საბავშვო ლექსებს, ი. ტურგენევის „მუმუს" და სხვ.

# თეატრალური საზოგადოების პირველი ყრილობა

ორშაბათს, 17 დეკემბერს, დილის 11 საათზე რუსთაველის სახ. თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიხსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პირველი ყრილობა. ყრილობას ესწრებოდნენ მსახიობები, რეჟისორები, მხატვრები, მწერლები, თეატრალური მოღვაწეები თბილისიდან და საქართველოს რაიონებიდან.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი ხორავამ.

შესავალი სიტყვის შემდეგ ყრილობამ საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშის ცემით აირჩია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ **სტალინის** მეთაურობით. აგრეთვე ამხანაგები კ. ნ. ჩარკვიანი და ვ. მ. ბაქრაძე. ამხანაგ **სტალინის** სახელის ხსენებას ყრილობა ხანგრძლივი ოვაციითა და ფეხზე ადგომით შეხვდა.

საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ ყრილობა ირჩევს საქმიან პრეზიდიუმს, სამდივნოს და სარედაქციო კოლეგიას.

საქმიანი ორგანოების არჩევის შემდეგ თემაზე „ქართული თეატრის განვითარების გზები“, მოხსენება გააკეთა შალვა დადიანმა.

მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა ქართულ პროფესიონალური თეატრის განვითარების გზებზე მისი ჩასახვის დღიდან ჩვენს დრომდე, განსაკუთრებით დაწვრილებით განიხილა მან ქართული თეატრის მიღწევები სამამულო ომის პერიოდში.

ქართულმა თეატრმა, — სთქვა მომხსენებელმა, — ნამდვილ აღორძინებას საბჭოთა ხელისუფლების დროს მიაღწია. **ლენინ-სტალინის** პარტიის ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე გაიფურჩქნა ქართული თეატრალური ხელოვნება, იგი შეიქნა ჩვენი სულიერი კულტურის ერთ-ერთ მოწინავე დარგად. უდიდესი მუშაობა ჩაატარა ქართულმა თეატრმა სამამულო ომის წლებში. თავისი მაღალიდეური სპექტაკლებით იგი ხელს უწყობდა მაყურებელში პატრიოტული სულისკვეთების აღზრდას.

ყრილობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელით მიესალმა საქ. მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი კორნელი კეკელიძე.

დღევანდელი ჩვენი შეკრება, — ამბობს იგი — ეს არის ნამდვილი დღესასწაული მთელი ქართული კულტურისა. ჩვენს კულტურას ქონდა პერიოდები ამაღლებისა, აღორძინებისა, გაფურჩქვნისა, მაგრამ ისეთი ამაღლება და განვითარება, როგორიც ქართულმა კულტურამ განიცადა ამ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში —ისტორიაში გაუგონარია. ცხოველმყოფელი შუქი ახალი კულტურისა დღეს უხვად იფრქვევა, არ გავა წელიწადი, რომ ჩვენს ქვეყანაში არ შეიქმნას რამოდენიმე ახალი კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულება; დღეს გვემატება ერთერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ორგანიზაცია, რომელიც თვალსაჩინო როლს ითამაშებს ნაციონალური თეატრალური ხელოვნების შემდგომ აღორძინებაში.

საქართველოს საბჭოთა მწერლების სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. ბესო ჟღენტი.

საქართველოს თეატრალური საზო- [illegible] ემზადება უმაღლეს საბჭოს არჩევნებისათვის, როდესაც ქართველი ხალხი ემზადება საზეიმოდ აღნიშნოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავი საქართველოში; ჩვენმა ყრილობამ ხმამაღლა, მთელი ხალხის გასაგონად ხაზი უნდა გაუსვას იმ დიდ წარმატებებს, რომელიც მოიპოვა ქართულმა სასცენო ხელოვნებამ, ქართულმა დრამატურიამ.

ყრილობას მიესალმნენ აგრეთვე რუსეთის თეატრალური საზოგადოების წარმომადგენელი დ. ალტმანი, თბილისის გრიბოედოვის სახ. თეატრის წარმომადგენელი ი. ბოდროვი, თბილისის სომხური დრამის თეატრის წარმომადგენელი ალახვერდიანი, საქართველოს აზერბაიჯანული თეატრის წარმომადგენელი ამხ. ნასიბოვი, აჭარის თეატრის წარმომადგენელი დ. ხინიკაძე, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის თეატრის წარმომადგენელი ჩაბიევი, სოხუმის თეატრის წარმომადგენელი — ლ. ჭედია, ყრილობას ლექსით მიმართა პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა.

ყრილობამ საქართველოს ორმოცდაოთხი თეატრის და თეატრალურ ხელოვნების ექვსიათასი მუშაკის სახელით მისალმების დეპეშები გაუგზავნა ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს**, ქართველი ხალხის საამაყო შვილს **ლავრენტი ბერიას**, საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს ამხანაგ **კ. ჩარკვიანს**, საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **ვ. ბაქრაძეს**.

აკაკი ხორავამ ყრილობას გააცნო საზოგადოების წესდების პროექტი, ამის შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს შ. დადიანმა, ბ. ჟღენტმა, ი. იმედაშვილმა. ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა საზოგადოების წესდება; ფარული კენჭის ყრით არჩეულ იქნა საზოგადოების გამგეობა 61 კაცის შემადგენლობით და სარევიზიო კომისია 7 კაცის შემადგენლობით.

18 დეკემბერს შესდგა თეატრალური საზოგადოების გამგეობის პლენუმი, რომელმაც აირჩია პრეზიდიუმი 13 ამხანაგის შემადგენლობით. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: აკაკი ხორავა (თავმჯდომარე), აკაკი ვასაძე, შალვა დადიანი, დავით ანდღულაძე, შალვა ღამბაშიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ალექსანდრე თაყაიშვილი, იოსებ გრიშაშვილი, სერგო გერსამია, შალვა აფხაიძე, ალექსანდრე შანშიაშვილი, დ. ანთაძე და ი. ბოდროვი.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა რესპუბლიკის სახალხო არტისტი კირილე ნინიძე.

ყრილობა დაიხურა აკაკი ხორავას საბოლოო სიტყვით.

ყრილობის დახურვის შემდეგ ყრილობის მონაწილენი გაემართნენ თეატრალურ ქუჩაზე და იმ სახლებს, სადაც ვასო აბაშიძე და ვლადიმერ მესხიშვილი ცხოვრობდნენ, მიაკრეს მემორიალური დაფა სათანადო წარწერით. გაიმართა სახელდახელო მიტინგი, სიტყვა წარმოსთქვა შალვა დადიანმა. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე დოდო ანთაძემ და კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა; შემდეგ ყრილობის წევრები გაემართნენ ძერჟინსკის ქუჩისაკენ, სადაც ცხოვრობდა ქართული თეატრის დიდი ოსტატი კოტე მარჯანიშვილი. აქაც სახელდახელო [illegible]

ალექო შენგელია

## მესხეთი

[illegible]

და შენს დასახატად ფერები მოსტაცა...

მოვედი, მიმილე ჭაბუკი ქართველი,
ლამაზი ლექსის და სიმღერის მსახური,
თვალებში ამინთე ეგ შენი ნათელი,
ეგ შენი ფირუზი ცა გადამახურე.

---

გიორგი გიასელი

## ცხრა მაისის ქუთაისი

„მშვენიერო ქუთაისო —
სავარდო და სამაისო“

აკაკი

მარადის უმზერს ხვამლის მწვერვალი
და ქუჩებს ხატავს სუფთა დაისი,
ვით საპატარძლოდ მორთული ქალი,
ფერად ვარდებში ზის ქუთაისი.
უქიმერიონს უცინის მთვარე —
ცის დასავლიდან ტატნობს მისული...
შორს ვარსკვლავები ნაბავენ თვალებს
და დგება ღამე ქუთაისური.

წინათაც იყო მწვანით განთქმული
მისი აპრილი,
მისი მაისი, —
მაგრამ სხვა იყო წელს გაზაფხული,
სიმღერით შეხვდა მას ქუთაისი

წითელ დროშებში გათენდა დილა, —
რალაც ზღაპრული,
რალაც მისნური..
ასეთი დილა ჯერ არ ყოფილა
და მაინც იყო ქუთაისური.



ვ. სიდამონ ერისთავის ნახატების გამოფენა ზე საქართველოს სამხატვრო გალერეაში. სურათზე: ვ. სიდამონ ერისთავის ნახატი—„ამხანაგი სტალინი ბაქოს ნავთის მუშათა მიტინგზე 1908 წ.“

# რუსული თეატრი საქართველოში
## (100 წლისთავის გამო)

1845 წელს თბილისში ჩამოყალიბდა პროფესიული რუსული თეატრი. ის წინამორბედი იყო გრიბოედოვის სახელობის ახლანდელი რუსული თეატრისა.

საქართველოში რუსული პროფესიული თეატრის დაარსების ნიადაგი მთელი წლების მანძილზე მზადდებოდა.

რუსული წარმოდგენების მართვა თბილისში 1801 წლიდან დაიწყო. ამ საქმის ინიციატორი გენერალი პ. კოვალენსკი იყო, ხოლო უშუალო ხელმძღვანელი და იდეური სულისჩამდგმელი კი ცნობილი მეცნიერი, მინეროლოგი და ფიზიოლოგი აპ. მუსინ-პუშკინი, რომელიც იმჟამად თბილისში იმყოფებოდა.

სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენების მართვა მთელი ხუთი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. 1805 წ. მუსინ-პუშკინი გარდაიცვალა და რუსული სპექტაკლების დადგმა თითქმის შეწყდა, ხოლო ცეკვის საღამოები და ბალ-მასკარადები კი სისტემატურად იმართებოდა.

ასე გაგრძელდა 1819 წლამდე. ამ წელს თბილისში დაარსდა პირველი კლუბი — „საზოგადო საკრებულო“. ამიერიდან ეს კლუბი ჩაუდგა სათავეში საღამო-წარმოდგენების მართვის საქმეს.

ამ პერიოდში სცენაზე უმთავრესად იდგმებოდა რუსული და ფრანგულიდან რუსულად გადმოკეთებული ვოდევილები, ხანდახან კომედიებსაც სდგამდნენ. სპექტაკლებს ბევრი ხალხი ესწრებოდა.

რა ნაკლოვანებაც არ უნდა ჰქონოდათ ამ წარმოდგენებს, ერთი მთავარი დადებითი თვისება მათ უეჭველად ახასიათებდათ: ეს სპექტაკლები ავრცელებდნენ თეატრალურ კულტურას და ნიადაგს უმზადებდნენ მომავალი რუსული და ქართული პროფესიული თეატრების დაარსებას.

ამ პერიოდში კერძო ოჯახებშიც კი დაიწყეს რუსული წარმოდგენების მართვა, სდგამდნენ ზოგჯერ სერიოზულ პიესებსაც. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა რომან ივანეს-ძე ბაგრატიონის ოჯახი. რ. ბაგრატიონის ქალ-ვაჟი და ცოლისდა გატაცებულნი იყვნენ სასცენო ხელოვნებით და აი ამ რ. ი. ბაგრატიონის ოჯახში დაიწყო სალიტერატურო საღამოებისა და წარმოდგენების მართვა. მათ წარმოადგინეს კარატიგინის „უცნობი ნაცნობები“, ვოდევილი „მეცხრამეტე საუკუნის ქართველები“ და სხვ. სპექტაკლები კარგად ჩატარდა. ამ წარმოდგენამ სცენისმოყვარენი წაახალისა და შემდეგ 1832 წლის 21 იანვარს, დადგეს გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“.

სპექტაკლს თბილისის საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვდა. მას დაესწრო კავკასიის მთავარმართებელი ბარონ როზენი თავის ოჯახის წევრებით და ამალით. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა.

სპექტაკლს ადგილობრივი პრესაც გამოეხმაურა და ქებით მოიხსენია. ეს რუსული წარმოდგენა არც იმ დროინდელმა ერთად-ერთმა ქართულმა გაზეთმა „თბილისის უწყებამ“ (რედაქტორი სოლომონ დოდაშვილი) დასტოვა უყურადღებოდ. ხსენებულ გაზეთში ვკითხულობთ: „ჩვენს ქალაქში წარსულ კვირას იყო თეატრი ერთსა ჩინებულსა სახლსა შინა, საკურველად წარმოადგინეს, უკეთესად არ შეიძლება“.

ჩვენამდე მოაღწიეს ცნობებმა როლების შემსრულებლებზე და თვით შესრულების ღირსება-ნაკლოვანებაზე. როლების შემსრულებელი უმთავრესად ქართველები იყვნენ: სოფიოს როლს ასრულებდა თვით რ. ი. ბაგრატიონის ცოლისდა, რ. ბაგრატიონის ვაჟი კი ლიზას როლს ასრულებდა. სოფიოს როლის შემსრულებელი თურმე სუსტი იყო, ლიზასი კი — კარგი. ნატალია დმიტრიევნას როლში გამოსულა სოფიო ორბელიანის ასული და მაყურებლის მოწონებაც დაუმსახურებია. ხლესტოვას როლს მარიამ ორბელიანის ასული ასრულებდა. რომან ალექსანდრეს-ძე ბაგრატიონი ასრულებდა სკალოზუბის როლს. რეცენზენტი სწერს ამ უკანასკნელის შესახებ: „ასეთი სკალოზუბი, შეიძლება თამამად ითქვას, არც ერთს საჯარო თეატრს არ ჰყოლიაო“. სახაზინო პალატის მრჩეველი ზუბარევი ასრულებდა ჩაცკის როლს. იმავე რეცენზენტის აზრით მსახიობმა ვერ შესძლო როლის თანაზომიერად წაყვანა. სიყვარულის ახსნისას იგი ერთობ ცივი იყო“.

სცენისმოყვარენი წარმოდგენებს მართავდნენ 1845 წლამდე. ამ წელს კი მდგომარეობა შეიცვალა. კავკასიაში მეფისნაცვლის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა მ. ს. ვორონცოვი; მან თეატრის საკითხებს თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია.

თბილისის თეატრის შესახებ ვორონცოვმა პეტერბურგში ერთ-ერთ უმაღლესი თანამდებობის პირს მისწერა:

„...თბილისში რუსული თეატრის არსებობას უნდა შევხედოთ არა მარტო როგორც სიამოვნებისა და გართობის საშუალებას, არამედ როგორც ისეთ დაწესებულებას, რომელსაც მნიშვნელოვანი მიზანი აქვს დასახული: გააცნოს ადგილობრივ მკვიდრთ რუსული ენა, რუსული ჩვეულებანი. მე ჩემს მოვალეობად ვთვლი ვეცადო, რათა თბილისში არსებობდეს კარგი რუსული თეატრი და ვებედავ იმედი ვიქონიო, რომ თქვენი ბრწყინვალება უარს არ მეტყვის ამ საქმეში დახმარების გაწევაზე“ (ლაპარაკია მსახიობებისათვის პენსიის დანიშვნის საკითხზე).

მ. ს. ვორონცოვის განკარგულებით თბილისში დაარსდა რუსული პროფესიული თეატრი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გუბერნიის მდივანი გ. პ. იაცენკო. იაცენკომ რუსული დრამატიული დასი მოიწვია სტავროპოლიდან და პირველი სეზონი გაიხსნა 1845 წ. 20 სექტემბერს. ამის შემდეგ თბილისში რუსული პროფესიული თეატრის მუშაობა აღარ შეწყვეტილა.

პირველ სეზონში მსახიობებად მოწვეულნი იყვნენ: პრიაჟენკოვსკი, ლიხანსკი, სმირნოვი, რიაზანცევი, ლვოვი, მარქსი, დრეისიგი; ქალები: მარქსი, პეტროვა, ნადეჟდინა და სხვ.

ამ პერიოდის რეპერტუარიდან ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ პიესები: „მამა და მისი ქალი“, „ლუდმილა“, „საარდამელი გემის ოსტატი“, „სტრიაპჩი მაგიდის ქვეშ“, „ბელმენკო“, „ნატალკა-პოლტავკა“ და სხვ.

შემდეგ სეზონში დასი შეივსო ახალი მსახიობებით: პეტერბურგიდან ჩამოვიდნენ იაბლოჩკინი, მუხინი, ივანოვი, ფომინი და ავენარიუსის ქალი. ესენი საიმპერატორო თეატრიდან იყვნენ. მოსკოვიდან მოიწვიეს ბურდინის ქალი.

უნდა აღინიშნოს, რომ მსახიობების მნიშვნელოვანი ნაწილი გამსჭვალული იყო პროგრესიული მისწრაფებებით, ისინი ცდილობდნენ მაყურებლისათვის ეჩვენებიათ ისეთი სპექტაკლები, სადაც მაშინდელი ცხოვრების უარყოფითი მხარეები იქნებოდა გაკიცხული. მაგრამ ხელისუფალნი თეატრის ასეთ გამოსვლებს ებრძოდნენ. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ერთი მაგალითი: 1846 წლ. 8 (20) ოქტომბერს მსახიობ ქალის მარქსის საბენეფისოდ სდგამდნენ გრიბოედოვის პიესას — „ვაი ჭკუისაგან“. ამ დადგმის წინააღმდეგ გაილაშქრა სოლოგუბმა და მოითხოვა, რათა „ვაი ჭკუისაგან“, გოგოლის „რევიზორი“ და სხვა მამხილებელი შინაარსის პიესები არ დაედგათ რუსულ სცენაზე.

მიუხედავად ამისა, რუსული თეატრის მუშაკნი მაინც ენერგიულად განაგრძობდნენ მუშაობას და უბრალო კომედია-ვოდევილებთან ერთად ახერხებდნენ დიდი რუსი კლასიკოსების: გრიბოედოვის, გოგოლის, ოსტროვსკისა და სხვათა ნაწარმოებების დადგმას.

შემდეგში, თბილისის რუსულ თეატრში თანდათანობით გაეხსნა გზა დასავლეთ ევროპულ დრამატურგიასაც. იდგმებოდა შექსპირის, შილლერის, მოლიერის, გუცკოვისა და სხვათა ნაწარმოებნი.

თბილისის რუსული თეატრის ხელმძღვანელები სისტემატურად იწვევდნენ მოსკოვიდან და პეტერბურგიდან, მუდმივ სამუშაოდ ან გასტროლებზე, საუკეთესო არტისტულ ძალებს... ხშირად ნახავდით სცენაზე რუსული სცენის ისეთ დიდს ოსტატებს, როგორიც იყვნენ: ერმოლოვა, ფედოტოვა, სავინა, დავიდოვი, პრავდინი, ლენსკი, ჩვენი თანამემამულე სუმბათაშვილი-იუჟინი, ორლენოვი, ძმები ადელგეიმები და სხვ.

თბილისის რუსული თეატრი უაღრესად დიდი მნიშვნელობის კულტურული მოვლენა იყო საქართველოს ცხოვრებაში და ხალხის კულტურული დონის ამაღლებისა და პოლიტიკურად გათვითცნობიერების საქმეში. რუსული თეატრი იმავე დროს ერთგვარ სტიმულს აძლევდა ქართული თეატრის მოღვაწეებს და ხელს უწყობდა მათი მუშაობის გაშლას, ქართული თეატრის განმტკიცებას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან თბილისის რუსულ თეატრს უფრო ფართო ასპარეზი გადაეშალა. მისი საქმიანობა უფრო მტკიცე ნიადაგზე დადგა და ის ჩვენს საუკეთესო თეატრთა პირველ რიგებში მოექცა.

ს. გერსამია

ერ. ასტვაცატუროვი

# ოსტროვსკი ქართულ საბჭოთა სცენაზე
## (რუსული კლასიკური დრამატურგიის სპექტაკლთა საკავშირო დათვალიერების გამო)

ქართულმა თეატრალურმა ხელოვნებამ სამამულო ომის წლებში ფრიად თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა. მიუხედავად ომით გამოწვეული სიძნელეებისა, ქართული თეატრის იდეური დონე უფრო ამაღლდა და მხატვრული ოსტატობა უფრო გაიზარდა; ქართული თეატრის ოსტატები უფრო ღრმად ჩასწვდნენ კლასიკური მემკვიდრეობის სიმდიდრეს, განახორციელეს მისი საუკეთესო ნიმუშები და ამით კლასიკური წარსული თანამედროვე ადამიანის პატრიოტული და მოქალაქეობრივი სულისკვეთებით აღზრდის მძლავრ იარაღად აქციეს.

ქართულ თეატრში რუსულ კლასიკურ დრამატურგიას ყოველთვის საპატიო ადგილი ეჭირა. ეს ინტერესი დიდი რუსი ხალხის წარსული და თანამედროვე კულტურისადმი კიდევ უფრო გაიზარდა განვლილი სამამულო ომის წლებში. იდეური სიმდიდრე, მხატვრული სიღრმე, ხალხურობა, გულისხმიერი დამოკიდებულება დიდი სოციალური პრობლემებისა და მოქალაქეობრივი იდეებისადმი—ყოველთვის მახლობელსა და მშობლიურს ხდიდნენ რუსულ კულტურას ჩვენი ხალხისათვის. ქართველი ხალხი პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის, გოგოლის, ტოლსტოის, ოსტროვსკის, ჩეხოვისა და გორკის უკვდავ ქმნილებებში ხედავდა კეთილშობილ მისწრაფებათა ულამაზეს სამყაროს, იგი ხედავდა იმ ცხოველმყოფელ ენერგიას, რომელსაც უბრალო ადამიანი თავისუფლებისა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის ფართო შარაგზაზე უნდა გამოეყვანა.

მაგრამ, როგორადაც შორიდან არ უნდა მოდიოდეს რუსულ კულტურასთან ქართული კულტურის კავშირის სათავე და ტრადიცია, შედარებაც კი არ შეიძლება წარსულისა იმასთან, რაც ჩვენ დროში გაკეთდა. **ლენინ-სტალინის** პარტიის ნაციონალურმა პოლიტიკამ უმტკიცესი საფუძველი შეჰქმნა იმისათვის, რათა ჩვენი ხალხი უფრო ღრმად დასწაფებოდა და განუსაზღვრელად ესარგებლნა მთელი იმ სიკეთით, კულტურის იმ საგანძურით, რაც რუს ხალხს თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე შეუქმნია.

სამამულო ომის წლებში ქართულმა თეატრმა თავის შემოქმედებითს პრაქტიკას საფუძვლად დაუდო ქართველი მაყურებლის მისწრაფება—ენახა სცენაზე რუსი ადამიანი მისი ნათელი გონებით და ძლიერი სულით. რუსული კლასიკური დრამატურგია გადაიქცა ქართული სახელმწიფო თეატრების რეპერტუარის ერთ-ერთ ძირითად ნაწილად. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ამ რეპერტუარში ა. ოსტროვსკის უჭირავს და ჩვენც მის ნაწარმოებებთა დადგმებზე უნდა შევჩერდეთ.

ის გარემოება, რომ ოსტროვსკიმ განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია—სავსებით ბუნებრივია. ოსტროვსკი რუსული სცენის უდიდესი რეფორმატორი და კრიტიკული რეალიზმის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია. გააგრძელა რა გრიბოედოვის და გოგოლის ტრადიციები, ოსტროვსკიმ რუსული დრამის განვითარებაში ახალი ხანა დაიწყო; მან მოამზადა ის მტკიცე ნიადაგი, რომელზეც განვითარდა რუსული ნაციონალური თეატრი. მან შეჰქმნა რუსულ სინამდვილეზე აგებული, შეუდარებელი რეალისტური ყოფითი დრამები და კომედიები, რომლებიც თავიანთი მხატვრული ღირსებებით, ჩერნიშევსკის სიტყვით რომ ვსთქვათ, თითქმის შექსპირის ტრაგედიებს უსწორდებიან. ოსტროვსკი დიდია თავისი ნათელი ფორმით, რუსული ხასიათების მკვეთრი გამოხატვით და ჰუმანური იდეალების ქადაგებით. ამასთან ოსტროვსკი საინტერესოა იმითაც, რომ მან მძაფრად ასახა კაპიტალიზმის განვითარების პროცესი, ასახა მთელი მისი იდეურ-მორალური უკულმართობა.

ოსტროვსკი, როგორც ჭეშმარიტი რეალისტი, როგორც მიუდგომელი ამსახველი გაბატონებული საზოგადოებრივი და ყოფაცხოვრებითი სისტემისა, ახლო იდგა პროგრესულ მიმართულებასთან და ობიექტურად ხელს უწყობდა რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეათა გავრცელებას. მან პირველმა ჩაახედა უბრალო რუსი ადამიანი ვაჭართა და მოხელეთა ცხოვრების საიდუმლოებაში და მზის სინათლეზე გამოიტანა ხსენებულ წოდებათა შინაგანი სიბინძურე, დაჰგმო, გაკიცხა მათი ზნეობრივი ნორმები, როგორც ადამიანის დამღუპველი, როგორც შემაფერხებელი ნათელი და ადამიანური საწყისის განვითარებისა. ოსტროვსკი უმთავრესად ყოფითი და ზნეობრივი მოვლენებით იყო დაინტერესებული, მაგრამ დიდი რეალისტი კარგად ხედავდა, რომ ამა თუ იმ ადამიანის ცხოვრების ზნეობრივი მხარე დამოუკიდებელი არ იყო მისი კლასობრივი ბუნებისაგან. ამიტომ, რა თვალსაზრისითაც არ უნდა მივუდგეთ და განვიხილოთ ოსტროვსკის ესა თუ ის ნაწარმოები—სოციალური მომენტი ყოველთვის პირველ პლანზე დგება.

ა. ოსტროვსკი კარგად იცნობდა მემამულეთა და ვაჭართა წრეებს. იგი კარგად ხედავდა და მთელი სიცხადით გვიჩვენებდა, რომ ახალ, კაპიტალისტურ ურთიერთობაში მთავარი ადგილი ფულს ეჭირა. „არ მოატყუებ, ვერ ივაჭრებ“—ასეთი იყო ვაჭართა კლასის „ფილოსოფია“ და ამ „ფილოსოფიის“ საფუძველზე იყო აშენებული მათი ზნეობრივი ნორმები. ყველაფერი არარაობაა, გარდა ფულისა, არარაობაა თვით ადამიანიც, სინდისიც; გულკეთილობა, სიყვარული, რწმენა,—ყველაფერი, ეს მათი თვალსაზრისით, გასაყიდი, სავაჭრო საგნებია და აქაც თუ არ იცრუე, არ იფარისევლე, ვერ ივაჭრებ—აი ვაჭართა, მოხელეთა და გავაჭრებულ მემამულეთა ცხოვრების რაობა, რომელსაც ოსტროვსკი მთელი სიმძაფრით აშიშვლებს და ჰკიცხავს. ცხადია, ადამიანური არსებობისათვის ბრძოლის ამ ასპარეზზე სუსტნი აღმოჩნდებიან, მარცხდებიან ისინი, ვისაც ფული ნაკლები აქვს, ან სულ არა აქვს: ღარიბები, ინტელიგენცია, განსაკუთრებით ქალები, რომლებიც იმ დროს ყოველთვის სხვაზე იყვნენ დამოკიდებულნი. მეორე მთავარი პერსონაჟები ოსტროვსკის პიესებში ყოველთვის ეს დაჩაგრული ადამიანები არიან. მწერლის სიმპატია ამ ადამიანების მხარეზეა. თავის დრამებსა და კომედიებში ოსტროვსკი გვევლინება, როგორც უაღრესად გულწრფელი ჰუმანისტი.

ამასთან ოსტროვსკის ნაწარმოებებს ჩვენი თეატრალური ხელოვნებისათვის წმინდა მხატვრული მნიშვნელობაც აქვს. მათ ახასიათებთ შინაგანად გამართული, ნათელი სტილი, დროის მკაცრი ეკონომია და ტიპიური ხასიათების გამოკვეთა. ოსტროვსკის პიესები უაღრესად სცენიურია, მოქმედებითი, მაგრამ მოქმედებას იქ ჰქმნის არა გარეგანი, პლასტიური მოძრაობა, არამედ დრამატიული მოძრაობა, ესე იგი, იქ მოქმედებას იწვევენ თანმიმდევრული ფსიქოლოგიური განცდები, რომელნიც შინაგანად მწიფდებიან.

ოსტროვსკის ხასიათები უფრო ეპიურია, ნაკლებ ტემპერამენტიანი, მაგრამ ცხოველმყოფელი: ყველაფერი ლოგიკურად, თანდათანობით მიმდინარეობს, სახეს იცვლის და ახალ ფორმაში გადადის, ხასიათების ეს სირთულე საუცხოო მასალას იძლევა აქტიორისა და საერთოდ თეატრის შემოქმედებითი გაქანებისათვის. ამასთან ისინი დიდ დაკვირვებასაც მოითხოვენ, რადგან ოსტროვსკის ტიპები, მიუხედავად მათი ზოგადკაცობრიული ბუნებისა, იმავე დროს ნამდვილი რუსი ადამიანები არიან,—არა მხოლოდ გარეგნულად, არამედ სულითაც, ფსიქიკითაც. ოსტროვსკი მოითხოვს ეპიურ თეატრალურ სტილს. მსახიობები, რომელიც შეჩვეულია მხოლოდ და მხოლოდ მგზნებარე ტემპერამენტის, რომანტიული ტიპების განსახიერებას, და რომელიც თავის თამაშს უმთავრესად გარეგნულ პლასტიკურ მოძრაობაზე ამყარებს, ვერ მიაღწევს წარმატებას, თუ ღრმად არ ჩაუკვირდა ოსტროვსკის შემოქმედების ზემოაღნიშნულ თვისებებს და საკუთარი შემოქმედებითი სახე მათს შესაფერისად არ გარდაქმნა.

ოსტროვსკის მასობრივი განხორციელება ქართულ სცენაზე მხატვრული სტილის თვალსაზრისითაც ერთგვარად ახალ ეტაპს იწყებს ჩვენი აქტიორული ხელოვნების განვითარებაში. ოსტროვსკის პიესათა დადგმების წარმატებებმა განსაკუთრებული ძალით გამოამჟღავნეს ქართველი აქტიორის უნარი, მისი ოსტატობა.

რუსთაველის სახ. თეატრის სპექტაკლმა—„უდანაშაულო დამნაშავენი“ (დადგმა აკ. ვასაძისა) გვიჩვენა აქტიორთა მაღალი ოსტატობა და მთელი კოლექტივის ძლიერი შემოქმედებითი უნარი. კოლექტივმა სწორად გაიგო და რეალისტურად განახორციელა რთულ ფსიქოლოგიურ ნიუანსებზე დამყარებული ეპიური ნაწარმოები. მართალია, „უდანაშაულო დამნაშავენი“ კომედიაა, მაგრამ მასში უაღრესად ძლიერია მძაფრი და დრამატიული სცენები. კომიკური სიტუაციები ავტორის მიერ ნახმარია მხატვრულ საღებავად, რომლის საშუალებითაც იგი უფრო მკაფიოს, უფრო მძაფრს ხდის დრამატიულ სიტუაციას. ამიტომაც სავსებით სწორად მოიქცა რეჟისორი, როდესაც ეს პიესა არ დასდგა, როგორც წმინდა კომედია, ოსტროვსკი მთავარ ყურადღებას ადამიანის ფსიქოლოგიურ სამყაროს აქცევს. მწერლის ეს თავისებურება დამდგმელის მიერ სავსებით დაცულია და ამიტომაა, რომ მსუბუქი კომედიის ნაცვლად ჩვენ მძაფრი დრამატიული და ამაღელვებელი სპექტაკლი მივიღეთ. შეუძლებელია აუღელვებლად უყუროთ კრუჩინინას (ნ. ჩხეიძე) მშფოთვარე განცდას, ტანჯვასა და სულიერ მღელვარებას იმ ქალისას, რომელსაც კერძო მესაკუთრულმა საზოგადოებამ სიყვარულისა და დედობის უფლება წაართვა. კრუჩინინა განწირული იყო, მაგრამ მან ხელოვნებაში იპოვნა ხსნა. ის მთელი არსებით გაიტაცა აქტიორულმა შემოქმედებამ. ხელოვნების პატიოსან სამსახურში მან „დაივიწყა“ პირადი ტკივილები. იგი ხედავს, რომ თავისი დროის საზოგადოებაში ვერ იპოვნის ცხოვრების სწორ გზას, ხედავს, რომ არ არის ადამიანი, რომელიც მას დახმარების ხელს გაუწვდის, მაგრამ იმდენად სპეტაკი და დიდბუნებოვანია თვითონ, რომ ამ უსულგულო ხალხში ინარჩუნებს სულის სისპეტაკეს და მაღალ ზნეობას.

წრფელია და უშუალო გ. დავითაშვილის ნეზნამოვიც. უსულგულო საზოგადოებამ არც ახალგაზრდა ადამიანი შეიბრალა. ისიც ისე გაიზარდა, რომ არ იცის რა არის მშობლის ალერსი, არ იცის ვინ არის მისი დედა ან მამა, უპატრონო ყმაწვილი ალალბედზე იკვლევს გზას. საზოგადოებამ მას ადამიანი შეაძულა, იგი ღატაკია, გაუნათლებელი, მაგრამ ამავე დროს ამაყი. თუ ღრმად ჩაუკვირდებით მის შინაგან ბუნებას, ადვილად აღმოაჩენთ იმ კეთილშობილების ნიშნებს, რომელიც მას სხვაზე, „მაღალი“ წრის ადამიანებზე მაღლა აყენებს, მასში არის ნათელი ადამიანური საწყისი, მაგრამ გარემო პირობები ყოველ ფეხის ნაბიჯზე სთელავს და ამცირებს ამ წმინდათაწმინდას, ამ ადამიანურს.

როგორც ნ. ჩხეიძის კრუჩინინა, ისე გ. დავითაშვილის მიერ შექმნილი ნეზნამოვის სცენიური სახე ჩვენი აქტიორული ხელოვნების უდავო მიღწევაა.

უაღრესად საინტერესოა აკაკი ვასაძის შმაგა. ეს პიესის მთავარი კომიკური ხასიათია, მაგრამ ავტორს იგი შემოყავს მოქმედებაში არა იმისათვის, რომ ერთგვარი შვება მისცეს დრამატიულად დაძაბულ სიტუაციებს, არამედ, როგორც თავისთავად საინტერესო სახე, როგორც ტიპიური მოვლენა იმდროინდელი ცხოვრებისათვის. შმაგა უარყოფითი ტიპია, ლოთი, შეიძლება—ქურდბაცაცაც, მას ვერსად ვერ უპოვია თავისი ადგილი და რატომღაც „მსახიობობისათვის“ მოუკიდნია ხელი. იგი არსად არ ვარგა, ავტორი კიცხავს მის უზნეობას, მაგრამ არ დასცინის, მსახიობს აქ ბეწვის ხიდი ქონდა გასავლელი, რომ რომელიმე უკიდურესობაში არ გადავარდნილიყო; ვასაძის შმაგა აუცილებლად მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს ამ შესანიშნავი მსახიობის მიერ შექმნილ სახეთა გალერეაში.

აქ აუცილებელია ერთი შენიშვნა. სპექტაკლი მთლიანად კარგად არის დამუშავებული, შეკრული, თითქმის ყველა მსახიობი თავის სიმაღლეზე სდგას და ხელს უწყობს საერთო წარმატებას. „უდანაშაულო დამნაშავენი“ ერთ-ერთი ნამდვილი ანსამბლური სპექტაკლია. მხოლოდ ზოგიერთ სცენაში აკ. ვასაძე ივიწყებს პანტნიორებს და, როცა მაყურებლის ყურადღება სხვა მოვლენებისა და სხვა მოქმედ პირთა დიალოგისაკენ უნდა იქნას მიპყრობილი, იგი ზედმეტი მოძრაობით, ხანდახან არა აუცილებელი ჟესტით ერთგვარ დისონანსს ჰქმნის და თავისკენ იქცევს ყურადღებას, იწვევს სიცილს მაშინ, როცა საჭიროა დაძაბული ყურადღება. ამაზე იმიტომ შევჩერდით, რომ ასეთი მოვლენა ჩვენს სცენაზე ერთეული არ არის. ვ. გოძიაშვილი, რომელიც საინტერესოდ ასრულებს „უმზითვოში“ რობინზონის როლს, კნუროვისა და ვასილ დანილიჩის საინტერესო დიალოგის დროს ზედმეტ მოძრაობას მიმართავს; ამით მსახიობი ხელს უშლის მაყურებელს მოისმინოს ის, რაც იმ წუთში უფრო საინტერესოა. ეს არღვევს ანსამბლური სპექტაკლისა და ა. ოსტროვსკის სტილის მოთხოვნილებას.

საერთოდ კი დამდგმელმა და მსახიობებმა მკაფიოდ გადმოგვცეს „უდანაშაულო დამნაშავენის“ დედაარსი. მათ, სწორად გაიგეს რა ოსტროვსკის ხასიათების ბუნება, შეჰქმნეს ეპიური სპექტაკლი, რომელსაც შეუძლია დიდი ემოციური და შემეცნებითი ზემოქმედება მოახდინოს თანამედროვე მაყურებელზე.

სერგო კლდიაშვილი

## პატარა მოთხრობები

### დედოფალა

გოგონას დედამ აჩუქა დიდიხნიდან კარადაში შენახული თავისი მზიანი ბავშვობის სახსოვარი ოქროსთმიანი, ცისფერთვალება, წითელ ტარსიკონის ქოშებიანი დედოფალა. ბავშვი დედოფალას არ იშორებდა. უსათუთებდა, ღიმილით ატატებული დაჰქონდა, ღამით კი იხუტებდა გულში და ისე იძინებდა.

გოგონა გაიზარდა. დედოფალა აღარ ართობდა. მაშინ ის კარადაში შედვა და შეინახა, როგორც თავისი მზიანი ბავშვობის სახსოვარი.

წლები გავიდნენ. გოგონა დაქალდა, შეიცნო სიყვარული, განიცადა ტანჯვა, მახლობლების სიკვდილი და მრავალჯერ ქარიშხალმა გადაიარა მის თავზე. როცა თვითონაც დედა გახდა, ძველმანებს შორის კარადაში შენახული დედოფალა გამოიღო და შვილს აჩუქა.

გოგონამ გულში ჩაიკრა ოქროსთმიანი, ცისფერთვალება, წითელ ტარსიკონის ქოშებიანი დედოფალა. შეხაროდა, უალერსებდა, არ იშორებდა, ხოლო როცა გაიზარდა, კარადაში შედვა და შეინახა როგორც თავისი მზიანი ბავშვობის სახსოვარი.

### ბ რ მ ა

ზაფხულის ერთ კვირას ნაცნობს ვეწვიე. ღია ფანჯარასთან ვსხედით. ფანჯარა მეზობელ ბინადარის აივანს გადაჰყურებდა. აივანზე დავინახე სავარძელში ჩამჯდარი მოხუცი. საზაფხულო სუფთა ტანსაცმელში იყო. სახეზე სიმშვიდე ალბეჭდოდა. თვალები ღია ჰქონდა, მაგრამ მეჩვენა, რომ სიცალიერეში იხედებოდნენ. მოხუცი უცნაურად მეუცნაურა.

— იცნობ მას? არც გაგიგონია? — მკითხა მასპინძელმა და შემდეგ მისი ამბავიც მითხრა. — რამდენიმე წლის წინად დაბრმავდა. ახალგაზრდობაში დაუცხრომელი ყოფილა. მისი წარსული სავსეა ათასგვარი თავგადასავა-[illegible]

[illegible] ნახავს, დაავალებს ვაჟს გამოუტანოს ზოგიერთი უფრო საყვარელი ნივთი. ხელებით სინჯავს, ასუფთავებს, უალერსებს, მაგრამ ყველაზე უფრო ხშირად ისევ იმ ძველებურ ხატა ითხოვს.

— ალბათ მართლაც იშვიათია. ნეტავ მანახვა! — ვინატრე მე.

ჩემმა მასპინძელმა ის იყო დააპირა რაღაც ეთქვა, როცა თვითონ ჩემი სურვილი იგრძნო მოხუცმა, ვაჟს დაუძახა და სთხოვა ხატი მოეტანა. ხალისიანი, მაღალი ჭაბუკი ოთახში შევიდა და მალე მოუტანა კიდევაც. ნივთი ფარჩაში იყო გახვეული. მოხუცმა დიდი სიფრთხილით ჩამოართვა, ფრთხილადვე გაშალა ქსოვილი, ამოიღო ჩარ-[illegible]

[illegible]

[illegible] სულიერ სიმშვიდეს და სიმაღლეს. მკრთალ ფერებში ცხადად იგრძნობოდა დამხატავის სიყვარულით და რწმენით სავსე გულის ფეთქა... სურათს ჩარჩოც ძველი ჰქონდა. ალაგ-ალაგ დახრული. ჩარჩო მოჭედილი [illegible] პატიოსანი თვლებით. ფერმიხდილი ლალი, ქარვა, ამარტა, გახუნებული ფირუზი და რამდენიმე ალმასი ამკობდა წლებისგან გაშავებულ ხეს.

ჩემმა ნაცნობმა გადახედა მოხუც მეზობელს და განაგრძო:

— მას შემდეგ რაც დაბრმავდა, ნივთებზე ზრუნვა თავის ვაჟს დაავალა. თვითონ კი თითქმის მთელ დღეებს ამ აივანზე ატარებს, გარედ მზეა, ქუჩიდან ქალაქის ხმაური აღწევს, მაგრამ ფერლაფერი ეს ქვეყნის გადაღმა ეჩვენება და სიზმარს უფრო მოაგავს. დრო გაჩერდა მისთვის იმ წუთიდან, როცა უკანასკნელად თვალში სინათლე დაჰკარგა. ზის ასე მარტო თავის ოცნებაში წასული. მაგრამ არც დაბრმავების შემდეგ დამცხრალა მისი ტრფიალი ძველ ნივთებისადმი. მრავალჯერ მი-

[illegible]

— მხოლოდ ერთი რამ არ იცის მოხუცმა. ის, რაც ეხლა ხელში ეჭირა, აღარაა ის ნივთი, რომელსაც დიდიხნიდან ეტრფიალება. მისმა ვაჟმა რამდენიმე წლის წინად გაჰყიდა ის, შემდეგ ერთ ხელოსანს სწორედ ისეთივე ჩარჩო გააკეთებინა რაღაც ძველი ხისაგან, ძვირფასი ქვების მაგიერ უბრალო თლილი შუშით მოჭედა, ხოლო თვითონ ხატის ნაცვლად კი ვიღაც დედაბერის სურათი ჩასვა. აი იმ რიოშს, იმ სიყალბეს უალერსებდა ეხლა მოხუცი..

გულწრფელად შევიცოდე ბრმა.

— ჰო მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვათ, ამით არაფერი შეცვლილა. — ისევ გაიღიმა ჩემმა მასპინძელმა. — შეხედე როგორი სახე აქვს!

საზაფხულო თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი სავარძელში იჯდა მოხუცი. სახეზე სიმშვიდე და კმაყოფილება ალბეჭდოდა. უსინათლო თვალები ღია ჰქონდა და სიცალიერეში მაინც ბედნიერნი იცქირებოდნენ.

გიორგი კაჭახიძე

## არ დამივიწყეს

ბაღის ცისფერი კარი შევაღე,
შევდ[illegible]. — მომინდა ბაღის შექება;
ჩემი [illegible] ხილი, როგორც მებაღეს,
ტოტების რხევით შემომეგება.

ხეებს ღიმილით ჩამოვუარე,
ყველა გაშლილი კალთა მაჩვენა.
ლექსით გავხსენი ბაგე მდუმარე
და კვლავ დავლოცე მათი გაჩენა.

ალტაცებულმა ახლაც შევძახე:
ჩემო [illegible]ებო, ავდრის ურჩებო,
კვლავ არ მეგონა, თუ აქ ესახლეთ,
თუ [illegible]ალებდით ბაღში უჩემოდ.

ხელი [illegible]ვახე ტოტს დასაკოცნად,
ჩემს [illegible]ნებებში ვიყავ ფხიზელი, —
უცებ [illegible]ოთლების ხმამ გამაოცა:
მათი სიმღერა ჩემად ვიგრძენი.

ბაღის [illegible]კეთე, კარგის მსურველი
ლონეს [illegible]მატებდი ხეებს აქ ყოფნით, —
არ დამივიწყეს მათი მზრუნველი
და მომგვარეს უხვად ნაყოფი.

დრო დაბრუნეს ტკბილად განცდილი,
ხილის კრეფა ხელს არ მობეზრდა, —
მხოლოდ ალუჩა ადრე გაცლილი
დამორცხვებული იდგა ღობესთან.

### რუსული ჟურნალი ქართული თეატრის შესახებ

ჟურნალ „ნოვი მირ"-ის მეცხრე ნომერში მოთავსებულია ხ. ხერსონსკის წერილი სათაურით — „უკვდავი აქტიორები". [illegible] ავტორი, სხვათა შორის, სწერს:

„თანამედროვე რუს აქტიორს შეუძლია ბევრი რამ ისწავლოს, მაგალითად, [illegible]



სევასტოპოლში. ფრონტელი მხატვრის ძ. ჩანკვეტაძის ალბომიდან.



დოღი საკოლმეურნეო სოფელში. სურათი ვ. სიდამონ-ერისთავისა.

## ვალ. სიდამონ-ერისთავის ნაწარმოებთა გამოფენა

ვალ. სიდამონ-ერისთავი ახალი ქართული ფერწერის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მან თავისი არც თუ ისე ხანგრძლივი სიცოცხლე (1889—1943 წ.წ.) მშობლიური ხელოვნების აყვავებისათვის ზრუნვას მოახმარა. იგი ეწეოდა როგორც შემოქმედებითს, ისე პედაგოგიურ მუშაობას.

ამ დღეებში სახელმწიფო გალერეაში გაიხსნა მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენას ორი დიდი დარბაზი უჭირავს და ოთხასამდე ექსპონატს ითვლის.

გამოფენა ნათელ წარმოდგენას იძლევა სიდამონ-ერისთავის შემოქმედების ყოველი ეტაპის შესახებ. თავის შემოქმედების დასაწყისში სიდამონ-ერისთავი განიცდიდა დიდი რუსი მხატვრის ვ. სეროვის გავლენას, სეროვისაგან სიდამონ-ერისთავმა მიიღო ცოცხალი და ლამაზი კოლორიტის სიყვარული. სიდამონ-ერისთავის ზოგიერთ ნაწარმოებებში ვხედავთ რუსული იმპრესიონიზმის (კოროვინი) უდავო გავლენას, იგი ქმნის ლაქებისა და შუქ-ჩრდილების საშუალებით სასიამოვნო და გამომეტყველ ნაწარმოებებს, როგორც მაგალითად „ბალეტი-რეპეტიცია", „შეშინებული ბავშვი" და სხვა.

მხატვარი არ შეჩერებულა ამ მიმართულებაზე; იგი ეძებს საკუთარ გზას. სიდამონ-ერისთავი მგზნებარე პატრიოტი იყო. მას თავდავიწყებით უყვარდა ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული და ბედნიერი აწმყო. ამ სიყვარულის წრფელ გრძნობას ამჟღავნებს იგი თამარ მეფისა და ყრმა შოთას პორტრეტებში, რომელთაგან პირველი მოსკოვის მუზეუმშია დაცული, ხოლო მეორე მუზეუმ-მეტეხის კოლექციას ეკუთვნის. წარსულის თემას ეხმაურება აგრეთვე მთელი სერია გიორგი სააკაძის ცხოვრების ამსახველი სურათებისა.

მხატვარი იმავე დროს გატაცებულია სამშობლოს ულამაზესი პეიზაჟებით. ამ თვალწარმტაცი პეიზაჟების ფონზე იგი ხატავს ისტორიულ ციხე-კოშკებსა და ნანგრევებს. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მისი „ზედაზენი", „შუამთა", „იყალთოს აკადემიის ნანგრევები" და სხვა.

აქ მისი ყალამი და ფანქარი უფრო მტკიცეა და დამაჯერებელი.

მის ეტიუდებს შორის ვხედავთ ძველი თბილისის კუთხეებს, რომელთაც ოდნავი რომანტიული სურნელება აფრქევიათ. მის ნახატებში მთელი გალერეაა მოცემული ბაქოელი ტიპების, ქართველი გლეხების, მწყემსების, რომელნიც, როგორც ხორცშესხმულნი, ისე იყურებიან სურათების ჩარჩოებიდან. ეს ძალზე ტიპიური სახეებია, მაყურებელი გრძნობს, რომ ისინი თითქოს სადღაც უნახავს, თითქოს ნაცნობნიც არიან. ამ სახეებით მხატვარი სარგებლობს დიდი ტილოების პერსონაჟების შესაქმნელად. ასე მაგალითად ბაქოს მუშათა ტიპები და ბაქოს ეტიუდები, ნავთის კოშკურები აძლევენ მხატვარს საშუალებას შექმნას ისეთი საინტერესო ტილო, როგორიც არის „ამხანაგ სტალინის მოღვაწეობა ბაქოში".

მხატვრის ყალამს ეკუთვნის მრავალი პორტრეტი; იგი ძლიერია ფერწერის ამ დარგშიაც, განსაკუთრებით გამოირჩევიან სახასიათო გამომეტყველებით, პოეტური ალმაფრენით მისი „მანდილოსანი პირბადით", მსახიობ ე. სიბილას პორტრეტი და სხვ. შედარებით სუსტია დაუმთავრებელი პორტრეტი აკად. ი. ჯავახიშვილისა.

თავის მოღვაწეობის პირველ პერიოდში სიდამონ-ერისთავს უმთავრესად აინტერესებდა განყენებული თემები ან ყოფაცხოვრებითი ჟანრული სურათები, შემოქმედების გვიანდელ პერიოდში კი იგი ეხმაურება ჩვენი ცხოვრების ყოველ აქტუალურ საკითხს, განსაკუთრებით გაიტაცა მხატვარი ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის თემატიკამ; მან შეჰქმნა მთელი ციკლი დიდი ტილოებისა, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ „ყრმა სტალინი ესაუბრება გლეხებს", „სტალინისა და ორჯონიკიძის შეხვედრა შტაბში", „ლენინი და სტალინი ტამერფორსში", „ლადო კეცხოველის ვერაგულად მოკვლა" და სხვ.

სიდამონ-ერისთავს აქვს მრავალი ბატალური სურათი. უკანასკნელ ხანის ბატალურ სცენებში იგი საუცხოოდ ასახავს წითელი არმიის ცხოვრების და ბრძოლის ცალკე ეპიზოდებს. ასეთია მაგ. „წითელ ცხენოსანთა შეტევა".

სიდამონ-ერისთავს ფართო საზოგადოებრიობა ყველაზე კარგად იცნობს, როგორც მხატვარ-დეკორატორს. ამ დარგში მოღვაწეობა მან დაიწყო ჯერ კიდევ 1909 წელს, ჭიათურის თეატრში, ალ. წუწუნავასთან ერთად. სიდამონ-ერისთავმა გააფორმა „ცხვრის წყარო", რომელიც დასდგა კოტე მარჯანიშვილმა. იგი მუშაობდა აგრეთვე ისეთი მნიშვნელოვანი დადგმების გაფორმებაზე, როგორიც არის „ფაუსტი", „თავადი იგორი", „ქეთო და კოტე", „ლალატი", „სამშობლო", „ნაპერწკლიდან" და სხვ.

ზემოხსენებულ გამოფენაზე უხვადაა წარმოდგენილი ესკიზები, როგორც დადგმების, ისე ტანსაცმლის, მაგრამ სამწუხაროდ არ არის მაკეტები დადგმებისა, რომლებიც კიდევ უფრო მეტად და ნათლად გვიჩვენებენ მხატვრის შემოქმედებითი გაქანებას და მგზნებარე ფანტაზიას.

ამ გამოფენით ფართო საზოგადოებას საშუალება ეძლევა გაეცნოს და მთლიანი წარმოდგენა იქონიოს ქართული ფერწერის შესანიშნავი ოსტატის—სიდამონ-ერისთავის შემოქმედებაზე.

**ირინე უზნაძე.**

## ხელოვნების მუშაკთა სახლი

ხელოვნების საქმეთა სამმართველოს გადაწყვეტილებით ახლო მომავალში მუშაობას განაახლებს ხელოვნების მუშაკთა სახლი, რომელიც ომამდე მთელი რიგი წლების მანძილზე ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა. როგორც წინათ, ახლაც ხელოვნების სახლი მომსახურებას გაუწევს თეატრების, კინემატოგრაფიის, სახვითი ხელოვნების, რადიო სტუდიის მუშაკებს, მუსიკოსს-კომპოზიტორებს და შემსრულებლებს, სამხატვრო, თეატრალური და მუსიკალური სასწავლებლების პედაგოგებს. სახლს აქვს მაყურებელთა ვრცელი დარბაზი სცენით, —საკონცერტო ესტრადით და კინოეკრანით, აგრეთვე სპეციალური ოთახები გამოფენების მოსაწყობად, ჭადრაკის სათამაშო ოთახი და სხვ.

სახლის მთავარი დანიშნულებაა ერთმანეთთან დააახლოვოს და ხელი შეუწყოს ხელოვნების მუშაკთა გამოცდილების ურთიერთ გაზიარებას, ამ მიზნით სახლი სისტემატიურად გამართავს დისპუტებს ახალ თეატრალურ დადგმებზე, ახალ მუსიკალურ ნაწარმოებზე, მხატვართა გამოფენებზე და ცალკეულ დიდ მხატვრულ სურათებზე, მოაწყობს ახალი კინოფილმების საზოგადოებრივ გასინჯვას და სხვ. პერიოდულად გაიმართება აგრეთვე სახელოვნო დაწესებულებების — თეატრების, სამხატვრო აკადემიის, მხატვართა და კომპოზიტორთა კავშირების, მათ ცალკეულ წევრთა შემოქმედებითი ანგარიშები, ლექციები და მოხსენებები ხელოვნებათა თეორიის და ისტორიის საკითხებზე, მოეწყობა შეხვედრები თბილისში ჩამოსულ მოძმე რესპუბლიკების ხელოვნების ცნობილ მოღვაწეებთან და სხვა.

განზრახულია აგრეთვე სახლთან მოეწყოს შემოქმედებითი კაბინეტები ხელოვნების ცალკე დარგების მიხედვით. როგორც წინათ, ისე ახლაც სახლს, ექნება საკუთარი ბიბლიოთეკა — სამკითხველო, რომელიც შეიცავს 5.000 წიგნს სხვადასხვა დარგიდან.

ლევან ასათიანი

## იაკობ ნიკოლაძის სახელოსნოში

მელიქიშვილის ქუჩის ერთ განშტოებას როდენის ქუჩა ეწოდება, ამ ქუჩაზე პატარა ჩიხი—ის იაკობ ნიკოლაძის სახელს ატარებს. აქ არის იაკობის პატარა ატელიე.

მე მუდამ დიდ სიამოვნებას განვიცდი მხატვრის სახელოსნოში ყოფნისას. საათობით შეიძლება თვალი ადევნო ყოველ ესკიზზე, ნახაზზე, სურათზე. მიყვარს აგრეთვე მხატვრების ჩვეულება იქონიონ სახელოსნოში ანტიკვარული ნივთები, ძველი გრავიურები, ოქროს ვარაყიანი იშვიათი წიგნები, ჩარჩოები, ფაიფურის და სპილოს ძვლის ნივთები.

ეს არის უჩვეულო, არტისტული სამყარო, მკვეთრად გამორჩეული ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებით, სამწუხაროდ ზოგჯერ ეგზომ ბანალური გარემოსაგან.

იაკობ ნიკოლაძეს რამდენიმე ახალი, ღირსშესანიშნავი ნამუშევარი აქვს თავის სახელოსნოში.

მათ შორის პირველ ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ჩახრუხაძის პორტრეტი. ის წააგავს ახალგაზრდა განდეგილს, თავზე ძველი ქართული საბურავი ხურავს, ჩაბალახის მსგავსი. გრძელ სახეს მოკლე წვეროვანში უშვებენ. მას თვალები ძირს დაუხრია. ის დაფიქრებით იმზირება სადღაც ქვევით. ეს უფრო შინაგან მზერას წააგავს,—საკუთარი სულიერი სამყაროს ჭვრეტას, ან გამძაფრებულ სმენას იდუმალი მუსიკისა, რომელიც რიტმიულად ჟღერს პოეტის შინაგან არსებაში. და თითქოს მისი მოკუმული ბაგეები შეუმჩნევლად იმეორებენ სიტყვებად ქცეულ მუსიკალურ ფრაზას:

„თამარ წყნარი, შესაწყნარი,
ხმა ნარნარი, პირმცინარი..."

ი. ნიკოლაძეს განზრახული აქვს ჩახრუხაძის მონუმენტური ფიგურის გაკეთება, — ამ მონუმენტის ესკიზი უკვე მზად აქვს თიხაში: პოეტი დგას მაღალ პოსტამენტზე, მარჯვენა ხელი გულზე მიუბჯენია, გრძელი ქართული კაბა აცვია...

იაკობი ამჟამად მუშაობს აგრეთვე ორ ახალ სკულპტურულ პორტრეტზე, ორივე თიხაში აქვს უკვე დამზადებული.

ერთი მათგანი—იაკობ გოგებაშვილის ბიუსტია.

ქართველი ხალხის უკვდავი პედაგოგის მშვიდი სახე, მაღალი შუბლი. ის იცქირება და მის თვალებში სათნოება და შინაგანი რწმენა გამოსჭვივის.

მისი ორი დიდი კორძიანი ხელი მუცელთან შეერთებიან ერთმანეთს. ამ ხელებმა დასწერეს ქართველი მოზარდი ახალგაზრდობის რამდენიმე ათეული თაობისათვის „დედა ენა" და „ბუნების კარი", ამ ხელებმა გონების კარნახით დაიცვეს მშობლიური ენა და კულტურა დავიწყებისა და გადაგვარებისაგან. რაღაც უხილავი კავშირი იგრძნობა მოხუცი მასწავლებლის ფართო შუბლსა და მის დიდ ძარღვიან ხელებს შორის.

მთელი მისი ფიგურა გადმოგვცემს მაშვრალი, დიდად ნაამაგდარი, მაგრამ არა დაქანცული ადამიანის სიწყნარეს: დაფიქრებული დინჯად გასცქერის იგი თავისი დაუფასებელი ღვაწლის ნაყოფს.

მეორე, არა ნაკლებ ღირსშესანიშნავი ნამუშევარი ი. ნიკოლაძისა არის გენერალმაიორ ნ. თავართქილაძის ბიუსტი, ჯერჯერობით ისიც თიხაშია დამთავრებული.

მკაცრი, მკვრივკუნთებიანი, სარდლის სახე. ეტყობა, მზის ცხარე სხივებს დაუწვავს მისი კანი, მძაფრ, გამყინავ ქარტეხილებს უქროლიათ მისთვის, ქარბუქებს უთოვიათ და გაუთოშავთ მისი ნაკვთები.

უსაზღვრო გულადობა და შეუპოვარი სიმტკიცე აღბეჭდილა მამაცი სარდლის სახეზე. ის დაკვირვებით გასცქერის შორეულ სივრცეს—იქ სადღაც მას ალბად ეგულება ვერაგი მტრის განლაგება. და აი, ფართოდ გაღებულ თვალის გუგებში თქვენ თითქოს ამჩნევთ, რომ სარდალი ანგარიშობს, ასწონდასწონის, არჩევს, ეძებს და ჯერ ვერ დასდგომია საბოლოო გადაწყვეტილებას — ის ფხიზელი მოაზროვნეა ამ წუთში, მთელი მისი ოდნავ წინ წამოზიდული, თითქოს გამანადგურებელი ნახტომებისთვის მომზადებული ვეფხის ტორსი შებოჭილია ინტელექტის გამძაფრებული მუშაობით.

ოცნება და საქმიანი განსჯა, ფიცხელი გატაცება და ცივი ანგარიშიანობა იხატება მის თვალებში.

სქელი, ლამაზად მოხაზული, თავისუფლად მოკუმული ბაგეები შინაგან სიმშვიდესა და საკუთარი ძალების ურყევ რწმენაზე მეტყველებენ.

და მთელი ფიგურა ასახავს ბრძოლებში გამობრძმედილ ჯარისკაცის სიმედგრეს და მტრის მუხანათობის გამოცნობაში დახელოვნებულ სარდლის სიდინჯეს, ფიცხელ შემმართებლობას, მშვიდსა და ფხიზელ საზრიანობას.

იაკობ ნიკოლაძის, როგორც ოსტატის ღირსებას შეადგენს მძაფრი განცდა თანადროულობის. მისი მღვიძარე, მაძიებელი შემოქმედება წინათაც პოულობდა გასაღებს ხალხის შინაგან განცდებისაკენ.

ოდესღაც მან მგლოვიარე ქალის სახით გამოხატა ქართველი ხალხის უზომო მწუხარება და ეს ქანდაკება ქცეული განცდა დასდგა ილია ჭავჭავაძის საფლავზე, როგორც სამშობლოს სახსოვარი.

ილიას სახე, რომელიც ღრმად იყო აღბეჭდილი მის ხსოვნაში, ოსტატმა გამოჰკვეთა მარმარილოს ბიუსტში და აგრეთვე ბარელიეფზე, რომელიც ამშვენებს წიწამურის ობელისკს. პორტრეტული მსგავსება ორივე ნაწარმოების, განსაკუთრებით ბარელიეფის უდავოა, მაგრამ ეს არ არის მთავარი.

იაკობ ნიკოლაძემ შესძლო ილიას პორტრეტში მოეცა ხალხის ბრძენი და ფოლადის ნებისყოფით აღჭურვილი მეთაურის სახე. ამ ლომის სიმშვიდეში ურყევი ენერგია და შეუდრეკელი შინაგანი დაჯერება იხატება.

იაკობ ნიკოლაძეს თავისი შეხედულება აქვს იმ თავისებურ ტრადიციებზე, რომელიც მოეპოვება თანამედროვე ქართულ სკულპტურულ ხელოვნებას. საკვირველია,—ამბობს ის,—ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენთვის რაიმე ხელსახების მიცემა შესძლებოდეს ძველ ქართულ ქანდაკებას. ის პრიმიტიული ბარელიეფები, რომლებიც ამოკვეთილია მცხეთის ჯვარის მონასტრის კედლებზე, ქართულ ქანდაკებას ვერ შეუქმნიდნენ ცხოველმყოფელი შემოქმედებითი ტრადიციის სათავეს. ამიტომ ჩვენ იძულებულნი ვართ მთელი ყურადღება გადავიტანოთ ძველ ქართულ ფრესკულ მხატვრობაზე.

ამ შემთხვევაში დაულეველ შთაგონების წყაროს ჩვენთვის წარმოადგენენ ისეთი ნიმუშები, როგორიც არის გენიოსი ოსტატთა ნახელავი—უბისის ტაძრის ფრესკები, ყანცვისის ანგელოსი და სხვები.

უბისის კედლის მხატვრობის ფიგურებში მოცემულია მონუმენტალობა და სკულპტურულობა სხეულისა და სახის გადოცემაში.

ბუნება მთავარი წყაროა ყოველ ხელოვანის შთაგონებისა. ამას სხვათაშორის გვასწავლის ძველ ქართულ ხელოვნებაში უცნობი ჯადოქარი-არქიტექტორი, შენებელი ჯვარის მონასტრისა.

საინტერესოა მეტად ხანდაზმული ქართველი ოსტატის ზოგიერთი მოგონებანი—რომელიც ეხება მის დამოკიდებულებას და ურთიერთობას მეცხრამეტე საუკუნის დიდ ქართველებთან, ვისაც ის შეესწრო თავის ახალგაზრდობაში, როდესაც ის მხოლოდ იწყებდა თავის მძიმე და ხანგრძლივ შემოქმედებით გზას.

აი ფრაგმენტები მოგონებისა ილია ჭავჭავაძეზე:

ილია სამჯერა მყავს ნახული,—ამბობს ი. ნიკოლაძე,—პირველად მას 1901 წელს თებერვალში შევხვდი. რაფიელ ერისთავი ახლად გარდაცვლილი იყო. კრუზენშტერნის (ეხლა წულუკიძის) ქუჩაზე, ერთერთ საზოგადო დაწესებულებაში შეკრებილნი იყვნენ ილია ჭავჭავაძე, დავით სარაჯიშვილი, ნიკო ცხვედაძე და კიდევ რამდენიმე საზოგადო მოღვაწე, მათ გვერდით ტრიალებდა სოსიკო მერკვილაძეც.

მაშინ ახალგაზრდა სკულპტორი ვიყავი, — ოცდახუთი წლისა ვიქნებოდი. მე მათ მივმართე, წინადადებით—რაფიელ ერისთავის ნიღაბს გადავიღებთქო. მაშინ ეს ჩვენში ახალი ამბავი იყო.

სოსიკომ ხელად შეადგინა ზეპირი „ხარჯთაღრიცხვა"—ჩვიდმეტი მანეთი, და მოახსენა დავით სარაჯიშვილს.

დავითმა მაშინვე ჯიბიდან საფულე ამოიღო და მომცა ეს თანხა.

ვიყიდე მასალა და მეორე დღესვე თელავისაკენ გავემგზავრე. იქიდან ქისტაურში წავედი. იქ ორ დღეს დავრჩი, ნიღაბი გადავიღე, გასვენებასაც დავესწარი.

თბილისში დაბრუნებისთანავე რაფიელის ნიღაბი წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმს გადავეცი.

ჩქარა ამის შემდეგ ისევ მივედი წერა-კითხვის საზოგადოებაში. კიბე ავათავე თუ არა, დავინახე, ილია მობრძანდება დინჯად. დანახვისთანავე მიცნო:

— ყმაწვილო, ბიუსტი გააკეთე?

— დიახ,—ვუპასუხე მე,—მხოლოდ ბიუსტი კი არა, ნიღაბი: აი, აქ არის, წერა-კითხვის საზოგადოებაში. გნებავთ ნახეთ!

ილია დაინტერესდა და უკანვე დაბრუნდა. შევედით წერა-კითხვის საზოგადოებაში. მან ყურადღებით დაათვალიერა „სამშობლო ხევსურის" ავტორის ნიღაბი.

ეს იყო მეორე შეხვედრა ილიასთან.

მესამედ და უკანასკნელად ქუჩაზე ვნახე.

ის იდგა მარტო, დაფიქრებული. ეტლს უცდიდა.

ილიას სიკვდილის შემდეგ წერა-კითხვის საზოგადოებამ შემიკვეთა მისი ძეგლის გაკეთება. ამ საქმისათვის საზოგადოებამ 5.500 მანეთი გადადო. ეს თანხა ხელმოწერით იქნა შეგროვილი საქართველოში, აგრეთვე სხვადასხვა სახის შემოწირულებით.

ძეგლი პარიზში გავაკეთე. წაველი სპეციალურად, რომ იქ მემუშავნა. აქვე ჩამომესხა. მახსოვს მარტო „მწუხარე ქალის" ქანდაკების ჩამოსხმა ექვსას მანეთამდე დამიჯდა.

პარიზში რომ იყო აკაკი,—1909 წლის მეორე ნახევარში,—იგონებს იაკობი,—მე მას ხშირად ვხვდებოდი (ამ დროს ილიას ძეგლზე ვმუშაობდი). აკაკი ჩემს სახელოსნოშიც მოვიდა, ნახა ჩემი ნამუშევარი. აკაკი მაშინ ცოლ-შვილით ცხოვრობდა საფრანგეთში. მისი შვილი ალექსი რუსულ საოპერო ტრუპას ანტრეპრენიორობდა.

აკაკი ავად იყო, წყლებზე მკურნალობდა. ერთხანს ცხოვრობდა ევიენ-ლე-ბენში. მე პარიზში „ცნობის ფურცელი" მომდიოდა, გაზეთებს აკაკისაც ვუგზავნიდი.

ევიენ-ლე-ბენიდან წამოსვლის წინ მომწერა:

„ძმაო იაშა! დიდი მადლობელი ვარ შენიცა და გიორგისაც გაზეთების გამოგზავნისათვის! დღეის იქით, სანამ ჩემი წერილი არ მიიღო, ნუღა გამოგზავნით, რადგანაც ხვალ მითავდება აქ კურორტი და ჯერ არ ვიცი საით გამისაჭდება. მარად ერთგული აკაკი".

ეს წერილი უთარიღოა, დაწერილი უნდა იყოს 1909 წლის შემოდგომაზე.

როდესაც ნიკო დიასამიძის (აკაკის მეგობრის) ცოლი გარდაიცვალა, ნიკომ ძეგლი შემიკვეთა მისი საფლავისათვის. თვითონვე მომცა თავისი გემოვნებით ძეგლის პროექტი: დაჩოქილი ქალი, ლოცვად ხელაპყრობილი.

ძეგლი გავაკეთე. ეპიტაფია აკაკიმ დაუწერა:

„დედავ ღვთისაო, გვედრებ მე, ნინო,
რომ ჩემს ქმარშვილსა მადლი მოჰფინო!"

ეს ამბავი უფრო ადრე მოხდა, ვიდრე ჩემი მოგონებას წინა ეპიზოდი,—თუ არ ვცდები, 1894 წლის ახლო ხანებში.

1911 წელს თბილისში ჩემს სახელოსნოში მეწვია აკაკი. მაშინ მე დავით სარაჯიშვილის ქანდაკების ესკიზზე ვმუშაობდი, სარაჯიშვილის მეუღლის, ეკატერინეს დაკვეთით.

აკაკის მოეწონა ესკიზი და ჩემს ალბომში ჩასწერა:

„ვნახე შენი ქანდაკება,
აღარ უნდა ამას ქება!"

* * *

იაკობ ნიკოლაძე თავის საუცხოო მოგონებაში „წელიწადი როდენთან" გვიამბობს სამახსოვრო ეპიზოდს თავისი მუშაობიდან „კალეს მოქალაქეებისა" და „ბალზაკის" უკვდავ შემოქმედთან ერთად.

ერთხელ როდენმა ახალგაზრდა ი. ნიკოლაძეს გადასცა მწერალ ბარბე დ, ორევილის ნიღაბი და წინადადება მისცა გაეკეთებინა მისი ბიუსტი.

— გააკეთე ისე, როგორც ხედავ,—უთხრა როდენმა,—მხოლოდ უფრო ხმამაღლა იმღერე.

ამ სიტყვებში იხატებოდა როდენის, როგორც ჭეშმარიტი ხელოვანის ძირითადი შემოქმედებითი პრინციპი.

ამ პრინციპის ერთგული დარჩა ი. ნიკოლაძეც მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე.

მუდამ ერთგული ბუნებისა, ის იძლევა ბუნებას ისე, როგორც ხედავს და ამასთანავე ერთად მღერის „მეტი ხმით".

ის ემსახურება ჭეშმარიტებას და სილამაზეს.



ქართული მუსიკალური საკრავები.

## რაჟდენ ხუნდაძე
### (დაბადებიდან 100 წლისთავის გამო)

ფილიმონ ქორიძისა და „კარბელაანთ კილოს" ავტორების—განთქმული კარბელაშვილების შემდეგ ქართული საგალობლის დაცვისა და აღორძინების საქმეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რაჟდენ ხუნდაძეს. ხუნდაძე იყო არა მარტო შესანიშნავი მგალობელი, არამედ იმავე დროს აქტიური, მებრძოლი მოღვაწე საგალობელთა შეურყვნელად დაცვა-შემონახვისათვის, ლოტბარი, პოეტი, ჟურნალისტი, გალობის მასწავლებელი, აგრეთვე ორიგინალურ-მუსიკალურ ნაწარმოებთა და [illegible] ავტორი.

რაჟდენ თომას-ძე ხუნდაძე დაიბადა 1845 წელს, გურიაში, სოფ. ცალაგონში (საჯავახოს თემი, ჩოხატაურის რაიონი). ხუნდაძეებს გვარეულობას ოდითგან მოსდევდა სიმღერა-გალობის ნიჭი. რაჟდენის უფროსი ძმა, ერმალო, ერთ-ერთი შესანიშნავი და დიდად სახელმოხვეჭილი მომღერალ-მგალობელი იყო. ცნობილი პედაგოგი და ქართული გრამატიკის ავტორი სილოვან ხუნდაძე რაჟდენის უმცროსი ძმა იყო. სილოვანი აღიზარდა პეტერბურგის უნივერსიტეტში რაჟდენის დახმარებით. სხვათა შორის, რაჟდენმა მისთვის ოქროს მედალიც კი გაჰყიდა, რომელიც წყალში კაცის გადარჩენისათვის ჰქონდა მიღებული.

რ. ხუნდაძეს სკოლის კარები არ უნახავს. მშობლებმა იგი მიაბარეს მთელ საქართველოში განთქმულ მგალობელს ანტონ დუმბაძის ოჯახს. მშვენიერი ხმითა და სმენით დაჯილდოვებულმა ჭაბუკმა დიდ წარმატებას მიაღწია და როგორც „სრული მგალობელი" განმწესებული იქნა მარტვილის მონასტერში.

მარტვილში რაჟდენი დაუმეგობრდა საეკლესიო მგალობელს და შესანიშნავ პატრიოტს თეოფილე გეგეჭკორს, რომელთან ერთად ოცნებობდა ქართული სიმღერა-გალობის აღორძინებაზე. მარტვილში რაჟდენს ფეხი დაუზიანდა (სადღაც მთვარეულად ყოფილა, ამბობდა—ცხენს გადავხტებოდი ხოლმე). წოლობამ შედეგი არ გამოიღო. 1883 წლის მარტში თბილისში ფეხი მოჰკვეთეს. თეოფილე გეგეჭკორი დიდ მორალურ და ნივთიერ დახმარებას უწევდა სასოწარკვეთილ რაჟდენს.

ამის შემდეგ რ. ხუნდაძე ქუთაისს გადასახლდა. იგი დაინიშნა გალობის მასწავლებლად სასულიერო სასწავლებელში, ამასთან გალობდა და ლოტბარობდა კიდეც. ამავე დროს რაჟდენ ხუნდაძე მოღვაწეობდა ჩვენს პრესაში „[illegible]", „[illegible]", „ზეკო გმირაძის", და სხვა ფსევდონიმებით. მისი პირველი სტატია—„კორესპონდენცია სამეგრელოდან" დაიბეჭდა 1878 წლის № 16 „დროებაში". მოღვაწეობდა აგრეთვე „კვალში" და განსაკუთრებით „მწყემსში". რაჟდენი სწერდა ლექსებს, სტატიებს ქართული სიმღერა-გალობის შეურყვნელად დაცვისა და გავრცელების შესახებ, ბიოგრაფიებს ჩვენს ძველ მოღვაწეებზე, ისტორიულ ძეგლებზე და სხვ. 1905 წელს გამოვიდა მისი ლექსთა კრებული.

რ. ხუნდაძის სტატიები და ლექსები დაწერილია მშვენიერი ქართული ენით. მათში გამოსჭვივის სამშობლოსა და ჩვენი ხალხის უშრეტელი სიყვარული, ცარიზმის მიერ დევნილი ქართული ენის ტრფიალი. ასეთი ხასიათის ლექსებია: „[illegible]", „ლაზარი", „გელათი", „ჩემი ენა", „მარტო", „მამის დილა", „ჩემი სატრფო" და მრავალი სხვანი. ლექსში „მარტო" რ. ხუნდაძე ასე [illegible]:

„...მეც, დასტკბი მტარვალობით
დაგილევა შენც დღე მალე...
ხეკა გახსნის შენს მოუშუშებელს,
სიღვეს მოჰფენს შენ ბრწყინვალე...

იმედს ლონეს კი მოვიკრებ,
ზაფხულმდის მეყვეს სული,
მაშინ ვიგრძნობ ნეტარებას
ზამთრის სუსხით დაჩაგრული".

მაგრამ რ. ხუნდაძის მთავარი ღვაწლი ჩვენი ხალხის ძველი სასულიერო კილოების დაცვის საქმეში მიუძღვის. აი მისი ერთი პატარა ბარათი: „ამ ყუთში არის 5 ხელნაწერი წიგნი, დიდი რვეული, ნოტებზე დაწერილი სხვადასხვა საგალობელი, რომლებშიაც ორი ათასი სხვადასხვა საგალობელი იქნება, დიდი ხანია ამის მცოდნე მგალობლები დაიხოცნენ და დღეს აღარავინაა, სიკუნთოთ იყოს ეს ხელნაწერი!

ეს ხმები ჩვენი ერის ჰარმონიული შემოქმედება არის, ბევრს შეუგნებელს მიუღებელი და გადასაყრელი ჰგონია, რაკი ეკლესიური სიტყვებით არის დაწერილი. ვაი ჩვენს შეუგნებლობას. რ. ხუნდაძე".

ამ უსაფუძვლო შეხედულების წინააღმდეგ ბრძოლას მოანდომა მან მთელი სიცოცხლე.

* * *

რ. ხუნდაძემ რამდენიმე ათასი საგალობელი იცოდა ზეპირად (ტიბელი, მეორე და მესამე ხმა), სწერდა ამ საგალობლების ნოტებს და იბრძოდა მათი შეურყვნელად დაცვისათვის. გალობდა გუნდში, ლოტბარობდა, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას—ასწავლიდა გალობას ქუთაისის სემინარიაში, სასულიერო სასწავლებელში, საქალაქო სასწავლებელში, წმინდა ნინოსა და ეპარქიულ სასწავლებლებში, მართავდა საჯარო კონცერტებს. სასულიერო საგალობელთა გარდა რაჟდენი ჩვენი ხალხური სიმღერების შესანიშნავი მცოდნე იყო. შეკრებილი და ჩაწერილი აქვს ბევრი ძვირფასი ხალხური სიმღერა. რაჟდენი არც სცენაზე გამოსვლას ერიდებოდა. [illegible] წერეთლის იუბილეზე ქუთაისის თეატრში. აღფრთოვანებულმა აკაკიმ იგი მკერდზე მიიკრა და გადაკოცნა.

მაგრამ არც ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა, არც ლოტბარობა არ აკმაყოფილებდა რაჟდენ ხუნდაძეს. საშიშლისმეტად საქმე მაინც გადაუჭრელი რჩებოდა. ჩვენ ხელთა გვაქვს სტამბაში დაბეჭდილი მოწოდება, რომლითაც რაჟდენ ხუნდაძემ მიმართა გალობის მცოდნე პირთ:

„ქართული ენის სიმდიდრე-საეკლესიო ძველი გალობა, გურულ-იმერული კილო, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ატკბობდა ქართველთა სმენას და უცხო ტომნიც მის ჰარმონიულ განცვიფრებაში მოჰყავდა და მოჰყავს, ისპობა!" შემდეგ რ. ხუნდაძე აღნიშნავს, რომ ძველი გალობა ახლა იცის მხოლოდ თითო-ოროლა მოხუცმა, დაიხოცებიან ისინი და შესანიშნავი ქართული ჰანგები დაიკარგება. იგი აყენებს საკითხს „მივმართოთ ამ მცოდნეთა მცირე რიცხვს და აღვადგინოთ მოსპობის გზაზე დამდგარი ეს ჩვენი ერის დიდება". ამისთვის მას განუზრახავს სპეციალური საზოგადოების შედგენა.

რ. ხუნდაძე დიდ მოთხოვნილებას უყენებდა გალობაში დახელოვნების მსურველ პირთ. 1888 წლის „მწყემსის" პირველ ნომერში იგი სწერდა: „გალობის შესწავლის მსურველს მიუცილებლად უნდა ჰქონდეს იმისათვის განსაკუთრებული ნიჭი, კარგი სმენა, კარგი ხმა და მასთან სურვილი... ჩვენ ბევრი გვინახავს, რომელთაც გალობის შესწავლისათვის არ დაუზოგავთ არც ხარჯი, არც ცდა და შრომა, მაგრამ ყოველივე იმათ ჩავუვლია. გალობის კარგად შესწავლისათვის საჭიროა ორი-სამი წლიწადი და ისიც მაშინ, თუ კაცს კარგი ნიჭი აქვს. არიან ისეთი პირნიც, რომელთაც ჰქონიათ რომელიმე ნიჭი გალობის შესწავლისათვის, მაგრამ დიდის მეცადინეობით უსწავლიათ გალობა, გალობენ კილოზე, მაგრამ გალობის დროს ხშირად გადაჰყვებიან ხოლმე მათი ხმა მათდა უნებლიეთ დაბნეულებისაგან, რადგან მათი ხმა და გული არ არის ბუნებისაგან გალობისთვის შექმნილი.

რაც შეეხება იმას, რომ სოფლურად ჰგალობს, ან კილოს გარეშე ჰგალობს,—ეს იმას ნიშნავს, რომ გალობა კილოზე არ უსწავლია, იცის მხოლოდ ზეპირად და როგორც თითონ სურს, ისე უხვევს ხმას... ამგვარ თავისებურ გალობას მეორე და მესამე ხმას ვერავინ ვერ მიუყენებს, ამ სიძნელეს გადეცილება მხოლოდ ნოტების ცოდნა, მაგრამ კარგა ნოტები შესწავლა თვით ზეპირად გალობის შესწავლაზედაც უძნელესია".

თავისთავად ცხადია, რა ქარცეცხლში გაატარებდა რაჟდენ ხუნდაძე მასთან გამოსაცდელად მიგზავნილ პირთ, ვიდრე გალობის ცოდნაში დასტურს მისცემდა.

გარდა იმისა, რომ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, რ. ხუნდაძეს შესანიშნავი გუნდები ჰყავდა.

იგი მართავდა საჯარო კონცერტებსაც. ასე, 1916 წლის 27 მარტს ქუთაისში მან მოაწყო გრანდიოზული კონცერტი, სადაც ლოტბარობდა და გალობდა კიდეც. შესრულებული იქნა „უმეტესი ნაწილი ისეთი ქართული საგალობლებისა, რომლებიც აღარ შემრჩა ამ 70 წლის განმავლობაში. ყველა გალობა დაწერილია ნოტებზე რაჟდენ ხუნდაძის მიერ, როგორც თვითე ქართული გალობის ზეპირად მცოდნისა". (პროგრამიდან)

მაგრამ ქართველი ერისათვის დაუვიწყარი და დიდი სამუშაო ჩაატარა რაჟდენ ხუნდაძემ ექვთ. კერესელიძესთან 1911 წლის პირველ მაისს დადებული პირობის საფუძველზე.

მაშ. შარაძისა და ე. კერესელიძის დავალებით ფილიმონ ქორიძემ ჩაწერა 500-ზე მეტი საგალობელი ანტონ დუმბაძის, მისი შვილის დავითისა, მ. ნაკაშიძისა და სხვათა გადაცემით. მაგრამ მათი უმეტესობა ჩაწერილი იყო პირველ ხმაზე, რადგან ფილიმონმა ვერ მოასწრო მათი გაშლა სამხმიან გუნდისათვის. ფილიმონი გარდაიცვალა, საქმე კი გაუკეთებელი დარჩა. ე. კერესელიძემ ეს საქმე მიანდო ყველა სამი ხმის შესანიშნავ მცოდნეს რაჟდენ ხუნდაძეს, წლოვანების განმავლობაში თავდადებული შრომის შედეგად რაჟდენ ხუნდაძემ სამხმიან გუნდისათვის გამართა ფილ. ქორიძის მიერ პირველ ხმაზე ჩაწერილი [illegible] საგალობელი.

გარდა ამისა, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში და ხალხური შემოქმედების სახლში დაცულია თვით ხუნდაძის მიერ ხუთხმეულად და ნოტებზე გადაღებული 1641 საგალობელი და 277 ხალხური სიმღერა. 1921 წელს რ. ხუნდაძემ შეაგროვა ხალხური სიმღერები [illegible]. ამავე წელს დაამთავრა თავისი 3 მოქმედებიანი ოპერეტა „ფუნდური ქორწილი". სამივე მოქმედება დაწერილია ლექსად და აგებულია ჩვენს ხალხურ კილოებზე. ოპერეტა იდგმებოდა ქუთაისში 1927-28 წწ. სეზონში, კომპოზიტორ გრიგოლ კოკელაძის ლოტბარობით.

თავის ლექსთა კრებულს გარდა რაჟდენ ხუნდაძემ გამოსცა ქართულ საგალობელთა ხუთი სხვადასხვა კრებული; მონაწილეობა მიიღო როგორც თანაავტორმა ფილ. ქორიძის საგალობელთა 5 კრებულში.

რაჟდენი გარდაიცვალა 1922 წელს; დაკრძალულია ქუთაისში, გოგიტურას სასაფლაოზე ხუნდაძეების საგვარეულო სამარხში.

ვალია კაშაძე.



„გერმანული არტილერიის უკანდახევა". ფრონტელი მხატვრის კ. ჩანკვეტაძის ალბომიდან.

# ლიტერატურული ცხოვრება

## „მნათობის" № 9-ის განხილვა

19 დეკემბერს საღამოს, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის გაფართოვებულ სხდომაზე, რომელსაც მწერალთა აქტივი დაესწრო, განხილულ იქნა ჟურნალ „მნათობის" მეცხრე ნომერი.

თავის შესავალ სიტყვაში ამხ. გ. ჯიბლაძემ აღნიშნა, რომ პრეზიდიუმს გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს ჟურნალის სისტემატიური განხილვა მწერალთა აქტივის მონაწილეობით და სთხოვა დამსწრეთ, რომ ჟურნალის ყოველ ნომერში მოთავსებული მასალის საფუძვლიანი გარჩევით და მასში შემჩნეული ნაკლის მოურიდებელი კრიტიკით დაეხმარონ რედაქციას ჟურნალის ხარისხის ამაღლებაში.

მოხსენებით „მნათობის" ზემოხსენებულ ნომერზე გამოვიდა ამხ. შ. აფხაიძე, რომელმაც ჟურნალის გარჩევა დაიწყო მისი კრიტიკისა და ლიტერატურის ისტორიის განყოფილებით; ამ განყოფილების ერთ-ერთ მთავარ ნაკლად მომხსენებელმა ჩასთვალა ის, რომ მასში სრულიად წარმოდგენილი არ არის თანამედროვე ქართული ლიტერატურის კრიტიკა, ხოლო ღირსებად ის, რომ ის შეიცავს რამდენიმე სერიოზულ წერილს: დიმიტრი ბენაშვილის „ვაჟა-ფშაველას", სადაც წამოყენებულია ფრიად საინტერესო და საგულისხმო ახალი მოსაზრებანი ვაჟა-ფშაველას ეპიურ შემოქმედებაზე, გ. ჯიბლაძის სტატიას „ა. წულუკიძის ლიტერატურული შეხედულებანი", სადაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი დახასიათებულია, როგორც ქართული მარქსისტული კრიტიკის ფუძემდებელი, რომელმაც ქართულ ლიტერატურულ მასალაზე გამოიმუშავა და განავითარა მეცნიერულად სწორი თვალსაზრისი მხატვრულ ლიტერატურისა და მისი დანიშნულების შესახებ. ამავე განყოფილებაში მკითხველის ყურადღებას იქცევს გიორგი ნადირაძის სტატია „ონორე დე ბალზაკი და ქართველი ქალი". საფუძვლიანი ცოდნით დაწერილი ეს სტატია მკითხველს ნათელ წარმოდგენას აძლევს ბალზაკის ერთ-ერთ ნაკლებად ცნობილ რომანზე, რომელიც ქართველი მკითხველისათვის საინტერესოა იმ მხრივაც, რომ იგი შეიცავს დიდი ფრანგი კლასიკოსის ცდას დახატოს ქართველი ქალის სახე. შეუნელებელი, ღრმა ინტერესით იკითხება ბ. ემხვარის ნარკვევი „აფხაზთა ზრდილობის საკითხისათვის", რომელიც ქართველი მკითხველისათვის ბევრ ახალ ცნობას შეიცავს აფხაზთა ყოფა-ცხოვრებაზე, ზნე-ჩვეულებებსა და მორალზე. სურენ ავჩიანის ბიოგრაფიულ-კრიტიკული ნარკვევი „ავეტიქ ისააკიანი" სომეხთა ამ დიდი პოეტის შემოქმედების მოკლე მიმოხილვაა, ფრიად საჭირო და აუცილებელი ჩვენი მკითხველისათვის. ეს წერილი ბევრს მოიგებდა, რომ რედაქციას უფრო მეტად ეზრუნა მისი ენობრივ-სტილისტური დახვეწისათვის.

ჟურნალის ამ ნომერში ფუხვად არის წარმოდგენილი თარგმნილი მხატვრული ლიტერატურა. პასუხისმგებლობით არის თარგმნილი ვ. ჭელიძის მიერ შექსპირის „რომეო და ჯულიეტა", ხარიტონ ვარდოშვილის მიერ გოეთეს ლირიკული ლექსები, ს. ფაშალიშვილის მიერ ა. ისააკიანის ორი ლირიკული ლექსი და კ. ჭიჭინაძისა და მოსაშვილის მიერ—ჩეხოსლოვაკელი პოეტის ონდრა ლისაგორსკის ლექსები.

ჟურნალში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართველი პოეტების ორიგინალურ ლირიკას, რომელსაც ერთი გარკვეული ტენდენცია ემჩნევა: ეს არის მისწრაფება ჩვენი ანმდვილისაგან განყენებული თემატიკისაკე. საზოგადოებრივ მნიშვნელობას მოკლებულ ვიწრო ინტიმურ რკალშია მომწყვდეული უმავლესობა ჟურნალის ამ ნომერში მოთავსებული ლექსებისა.

ჩვეულებრივი ოსტატობით და ულწრფელი განცდით არის დაწერილი ალექსანდრე აბაშელის „ვაჟა-ფშაველას სტრიქონები". ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებით ზრდას გვიჩვენებენ ვახტანგ გორგანელის და მურმან ლებანიძის ლექსები.

მხატვრული პროზა ჟურნალის ამ ნომერში წარმოდგენილია ქ. ელისაბედაშვილის მოთხრობით „ყრმობა", კ. გოგიავას „სიზმარით" და ნოე კაკუშაძის და ბორის კიკნაძის რომანით „ცხრა მაისი". პირველი ავტორის მოთხრობა დაწერილია სადათ, ჩვენთვის კარგად ცნობილი ამბები და მოვლენები ავტორს დანახული აქვს ახალი კუთხით და გადმოცემული აქვს საინტერესოდ. უეჭველ მხატვრულ ზრდას ამჟღავნებს მოთხრობა „სიზმარის" ავტორი კ. გოგიავა. სრულ გაოცებას იწვევს ჟურნალში ნოე კაკუშაძისა და ბორის კიკნაძის ეგრედწოდებული რომანის „ცხრა მაისის" მოთავსება; იგი ყოვლად უსუსური და უმწეოა მხატვრულად. ავტორები იჩენენ ჩვენი სინამდვილის და ჩვენი დროის ადამიანების სრულ უცოდინარობას, მომხდარ დიდ მოვლენებში გაურკვევლობას. ავტორებს დაახლოვებითი წარმოდგენაც არა აქვთ იმაზე, თუ როგორ უნდა იწერებოდეს მხატვრული ნაწარმოები. ეს ნაწარმოები ენობრივად, სტილისტურადაც არ არის გამართული.

ჟურნალის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ლ. ქიაჩელმა, ბ. ჟღენტმა, ა. გაწერელიამ, ს. ავჩიანმა, გ. ჯიბლაძემ. ამხანაგებმა ძირითადში გაიზიარეს ის შეფასება, რომელიც მომხსენებელმა მისცა ჟურნალში მოთავსებულ მასალებს. ქართული პერიოდიკის ისტორიაში მათ უპრეცენდენტო შემთხვევად ჩასთვალეს ისეთი უსუსური ნავარჯიშევის დაბეჭდვა, როგორიც არის ნ. კაკუშაძის და ბ. კიკნაძის „ცხრა მაისი", რომელსაც შეუძლია მხოლოდ სახელი გაუტეხოს ჟურნალს. ამხანაგები მოითხოვდნენ კოლეგიის წევრებისგან მეტს პასუხისმგებლობას, დაკვირვებასა და სიფხიზლეს ჟურნალისათვის მასალების შერჩევის დროს. ორატორებმა მოურიდებლად და მკაცრად გააკრიტიკეს ის პოეტები, რომლებიც იჩენენ ტენდენციას—თვზია დააშორონ თანამედროვე საბჭოთა ადამიანის სულისკვეთებას და მისწრაფებას, წაიყვანონ იგი ეპიგონობის გზით. კამათში სიტყვით გამოვიდა ჟურნალ „მნათობის" პასუხისმგებელი რედაქტორი ამხ. ალიო მაშაშვილი, რომელმაც აღიარა რედაქციის შეცდომა და ნოვცხი ნ. კაკუშაძის და ბორის კიკნაძის „ცრა მაისის" გაშვების გამო; ამასთან ერთად არ დაეთანხმა ორატორებს ზოგიერთი თავისი ლექსის ახსნასა და ინტერპრეტაციაში.

თათბირზე წარმოდგენილ და განხილულ იქნა რამდენიმე ღონისძიება ჟურნალ „მნათობის" რედაქციის მუშაობის გაუმჯობესებისა და ჟურნალის იდეურ-მხატვრული ხარისხის ამაღლებისათვის.

## მცირე შენიშვნები
### ქართული ხალხური ზღაპრების გამოცემის გამო

საბავშვო ლიტერატურაში ხალხურ ზღაპრებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. ქართული ხალხური ზღაპრების დამუშავება და ბავშვთათვის გამოცემა ჯერ ვერ სდგას თავის სიმაღლეზე. ამიტომ ზედმეტი არ იქნება თვალი გადავავლოთ საბლიტგამის მიერ მიმდინარე წელს გამოცემულ ქართულ ხალხურ ზღაპრების სერიას და ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი მოსაზრებანიც გამოვთქვათ.

უკანასკნელ ხანებში საბლიტგამმა რამდენიმე ქართული ხალხური ზღაპარი გამოსცა. ამათგან „რწყილი და ჭიანჭველა" ცნობილი და საყოველთაოდ გავრცელებული ზღაპარია.

დანარჩენი ზღაპრები, რომლებსაც ქვევით მოვიხსენიებთ, მგონი პირველად იბეჭდება ბავშვებისათვის; ამათგან ერთი — „სიზმარა" —ლექსად არის დამუშავებული ცნობილი პოეტის იოსებ გრიშაშვილის მიერ.

ტექნიკური რედაქციის თვალსაზრისით „სიზმარა" აშკარა წუნია: მცირე ფორმატის 30 გვერდზე 80-ზე მეტი პუნქტუაციური შეცდომა დავთვალე. წიგნის ასე გამოშვება, მით უფრო საბავშვო წიგნისა, ყოვლად მიუტევებელია.

ორი ზღაპარი—„ჭინჭაქა" და „მელია და მეწისქვილე" — გამოსულია ქს. სიხარულიძის რედაქციით. კარგი ზღაპარია „ობოლი და კოსატყუილა" (მხატვ. მ. დაუშვილი, რედ. მ. ჩიქოვანი). მ. ჩიქოვანის რედაქციით არის აგრეთვე გამოსული ხალხური ზღაპარი „მუქთახორა". ამ ზღაპრის სიუჟეტი და მორალი გაუგებრობას იწვევს. ზღაპრის მოკლე შინაარსი ასეთია: იყო ერთი ჯანსაღი, მაგრამ ზარმაცი კაცი. არაფერს აკეთებდა და არც რამე გააჩნდა, თავს გლახაობით ირჩენდა. ბოლოს ყველას თავი მოაბეზრა და მოწყალებასაც აღარ აძლევდნენ. წავიდა მუქთახორა ბედის საძებნელად. გზაში ამ კაცს მგელი შეხვდება. მგელი სთხოვს — გამიგე რა გამასუქებსო. შემდეგ მუხა შეხვდება. მუხაც აბარებს: გამიგე რატომ მიხმება ერთი მხარეო, ბოლოს თევზი შეხვდება და ისიც სთხოვს გაიგოს, რად ევსება ცალი თვალი. მუქთახორა მიდის ერთ თეთრწვერა მოხუცთან, რომელსაც კლდის ძირში იპოვის და ეტყვის, რაც სათხოვარი ჰქონდა; მოხუცი უპასუხებს: გაბრუნდი და შენი სარჩო წინ დაგხვდებაო. ასწავლის იმასაც თუ რა უშველის მგელს, მუხასა და თევზს. უკან მომავალი მუქთახორა თევზს ლაყუჩიდან ალმასს ამოუღებს და განკურნავს. ამ ალმასს თევზი მასვე შესთავაზებს, მაგრამ მუქთახორა წყალში გადაისვრის, — ეს რად მინდა, ჩემი სარჩო წინ დამხვდებაო. მუხის ძირში თურმე ოქროებით სავსე ქვევრი იყო დაფლული, რომელიც მუქთახორამ ამოსთხარა და ხრამში გადაუძახა — რად უნდა ვათრიო, ჩემი სარჩო წინ დამხვდებაო. მგელს კი ასეთი პასუხი მიუტანა- ადამიანის ხორცი ჭამე და გასუქდებიო; ადამიანიც ხომ შენა ხარო,— უთხრა მგელმა და გადასანსლა.

ამ ზღაპრის ოდნავ გავრცობილი ვარიანტი შეტანილია ქართული ზღაპრების რუსულ გამოცემაშიც („ქართული ზღაპრები", 1939 წ. „ზარია ვოსტოკას" გამოცემა, რუსულ ენაზე). აქ მუქთახორა ზარმაციც არის და მოსულელოც, კიდეც გლახაობს და ქურდობასაც შეეჩვევა, მიდის სათხოვნელად ღმერთთან. სხვა მხრივ შინაარსი ერთნაირია.

რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ ასეთი შინაარსიდან? მუქთახორა წავიდა ბედის საძიებლად, თუმცა რა უფლება ჰქონდა ყოფილიყო ბედის უკმაყოფილო? მისი სიღარიბის მიზეზი ხომ ზარმაცობა ყო და არა უბედურება? შემდეგ ლაპარაკი სარჩოზე და არა ბედზე, რაც ერთი და იგივე არაა. მუქთახორა, რომ უარს ამბობს გზაში ნაპოვნ სიმდიდრეზე, ეს მოსდის უჭკუობით და მუქთახორობა აქ არაფერ შუაშია. მუქთახორა დაისაჯა (მგელმა შეჭამა) არა მუქთახორობისა და ზარმაცობისათვის, არამედ იმისათვის, რომ ის ალამიანი იყო. რით არის გამოწვეული ასეთი შეუსაბამობა და არევ-დარევა, ამ ზღაპარში?

ცხადია, საქმე უნდა გვქონდეს ერთ-ერთ დამახინჯებულ ვარიანტთან. ასეთი ვარიანტების არსებობა კარგად ცნობილია ფოლკლორში. რომელიღაც მთქმელს ერთმანეთში აურევია ორი სხვადასხვა ზღაპარი და მათი ელემენტებისაგან შეუდგენია სარეცენზიო ვარიანტი. როგორი უნდა ყოფილიყო ძირითადი, დაუმახინჯებელი ვარიანტი! ასეთად უნდა ჩაითვალოს ოვ. თუმანიანის ზღაპარი „უჭკუო კაცი" (ოვ. თუმანიანი, „ზღაპრები", თარგმანი ივ. ბეგლაროვისა, თბილისი, 1938 წ.) იქ გამოყვანილია გამრჯე, მაგრამ უჭკუო კაცი, რომელიც ბევრს შრომობს, მაგრამ უთაობის გამო არაფერი გამოსდის და მუდამ გაჭირვებულია. წავა ბედის საძიებლად. გზაში ისეთივე შემთხვევები შეხვდება, როგორიც „მუქთახორაში" ვნახეთ და შემდეგ მივა ღმერთთან; „წადი და გაბედნიერდებიო" უპასუხებს ღმერთი. ეს უჭკუო გზაში ნაპოვნ სიმდიდრეზე და ბედნიერებაზე უარს ამბობს: რათ მინდა, ბედს გზაში ვიპოვიო; იგი მგელს ასეთ პასუხს გადასცემს: „უჭკუო კაცი შეჭამე და გაძღებიო!" „შენზე უჭკუოს სადღა ვიპოვიო?" — და შეჭამს. ამ ზღაპრის შინაარსიდან აშკარაა, რომ ბედის მაძიებელი დაღუპა უჭკუობამ. მისი უჭკუობაც თვალში ეცემა კაცს: საკუთარ უთაობას უბედობას მიაწერს, ხელსაყრელი, ბედნიერი შემთხვევებით ვერ სარგებლობს და ბედს კი ეძებს. ამ ზღაპარში ყველაფერი თავის ადგილზეა და არავითარ შეუსაბამობას ადგილი არა აქვს. ეს არის ზღაპრის ძირითადი ვარიანტის დამახასიათებელი.

ყოველი ზღაპარი რამდენიმე ვარიანტად არსებობს, ზოგი შემოკლებულია, ზოგიც სხვა ზღაპარშია ჩართული. ყოველი ვარიანტი საინტერესოა და უნდა შეგროვდეს, მაგრამ ბავშვებისათვის უნდა შეირჩეს ძირითადი ვარიანტი, შეივსოს ის საჭირო გამოთქმებით სხვა ვარიანტებიდან, განთავისუფლდეს ზედმეტი სიტყვებისაგან, გაიმართოს ენობრივად და ასე სრულყოფილი გამოიცეს.

პ. ჭანიშვილი

ბიბლიოგრაფია

## წიგნი ქართველ ქალებზე
### (ქ. ირემაძე — „ლიტერატურული მედალიონები")

საქართველოს ძველი ისტორიის ტრაგიკულ სახელებს შორის, იმ ადამიანთა სახელებს შორის, რომელნიც თვით საზარელი, ჯოჯოხეთური ტანჯვისა და წამების დროს, თვით სიკვდილის წუთებშიც კი ქედს არ იხრიდნენ დამპყრობლის წინაშე—არის სახელი ქეთევან დედოფლისა. ეს სახელი საუკუნეთა განმავლობაში იყო და დარჩა სიმბოლოდ სამშობლოსათვის თავდადებისა, სიცოცხლის გაწირვისა, აკაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ სამსხვერპლო ზვარაკობისა, რომელიც სიკვდილშიც კი ადამიანს ნეტარებას ანიჭებს იმ შეგნების გამო, რომ ადამიანი იღუპება არა უბრალოდ, არამედ რაღაც დიადი მიზნისათვის. ქეთევან დედოფლის სახელი ისეთივე დიდებული სიმბოლოა მაღალი და უწმინდესი პატრიოტიზმისა, როგორიც იყვნენ კოხტის თავს შეთქმულნი, როგორიც იყვნენ ელიზბარ, შალვა და ბიძინა ერისთავები,—და სხვა მრავალი ათასი ქართველი, რომელთა უტეხი ზღაპრული სიმამაცე ვერ მოსტეხეს, ვერ დაიყოლიეს ისლამური აღმოსავლეთის ფანატიკოსებმა. ახალი საქართველოს შორეულმა წინაპრებმა შექმნეს ძლიერი ტრადიცია სამშობლოსადმი ერთგულებისა. ისინი ნამდვილი წინაპრები იყვნენ იმ ქართველი ვაჟკაცებისა, რომლებმაც განვლილი სამამულო ომის წლებში, მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად, კვლავ უჩვენეს მსოფლიოს თავგანწირვისა და სულიერი სიმტკიცის განსაცვიფრებელი მაგალითები.

არ იყო შემთხვევითი, რომ სწორედ სამამულო ომის დღეებში ქართულმა მწერლობამ კვლავ უფრო მეტის ინტერესით გაიხსენა თავისი დიდი წინაპრები და მათ შორის ქეთევან დედოფლის სახელი. ქეთევან დედოფალი განმაურებული თემა იყო წარსულშიც. პირველად მის შესახებ მისმავე შვილმა—მეფე თეიმურაზმა დასწერა, ნათლად აღწერა მისი ღვაწლი ვახუშტი ბატონიშვილმა, ხოლო მე-19 საუკუნეში, როცა განსაკუთრებით ძლიერად განვითარდა ისტორიულ თემებზე მუშაობა—არც ეს სახელი დარჩენილა ჩრდილში: არაერთი მგზნებარე სტრიქონი უძღვნეს მას გრ. ორბელიანმა („სადღეგრძელო"), ალ. ყაზბეგმა (პიესა „კონსტანტინე ბატონიშვილი") და ა. წერეთელმა.

მაგრამ ყველაზე უფრო დიდი ინტერესი ქართულმა ხელოვნებამ ქეთევან დედოფლის სახელისადმი განვლილი ოთხი წლის მანძილზე გამოიჩინა. მხატვარმა მოსე თოიძემ ახლახან დაამთავრა ქეთევანის ფერწერითი პორტრეტი. შესანიშნავი ლექსი დასწერა მის შესახებ პოეტმა გიორგი ლეონიძემ. პოეტმა ვიქტორ გაბესკირიამ დასწერა დრამატული პოემა „ქეთევან დედოფალი", რომლის ცალკე ნაწყვეტები დაიბეჭდა „ლიტ. და ხელოვნების" და „მნათობის" ფურცლებზე.

არც ქართული მხატვრული პროზა დარჩენილა ვალში ქეთევან დედოფლის სახელის წინაშე. სწორედ ომის წლებში გამოქვეყნდა სამი თავი ქეთევან ირემაძის ისტორიული რომანისა „ქეთევან". დანარჩენი თავების საბოლოოდ დახვეწა ავტორმა ვერ მოასწრო. ჩვენ უფრო ვრცლად შევჩერდებით ამ უკანასკნელ ნაწარმოებზე იმის გამო, რომ იგი ამ დღეებში—მწერალი ქალის სხვა ნაწერებთან ერთად—ცალკე წიგნად, „ლიტერატურული მედალიონების" სახელით, გამოსცა საბლიტგამმა.

„ქეთევანის" გამოქვეყნებულ თავებში — მიუხედავად მათი ფრაგმენტულობისა—მაინც შესძლო ავტორმა ამ დიდი ისტორიული პიროვნების შინაგანი ბუნების მოხაზვა, შესძლო გადმოეცა მისი ხასიათის ძირითადი თვისებები და, რაც მთავარია, მისი დიდბუნებოვნება. აქ ნაჩვენებია დედოფალი იმ დღეს, როცა იგი შეიტყობს თავზარდამცემ ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ დახოცა კონსტანტინემ ალექსანდრე მეფე და გიორგი ბატონიშვილი, შემდეგ ნაჩვენებია იმ წუთებში, როცა ის სწყევლის მამისა და ძმის მკვლელებს, ნაჩვენებია დედოფალი ბრძოლის დროს და, ბოლოს, ავტორი მოგვითხრობს მის წამებაზე შირაზში. ასე რომ ყველაზე უმთავრესი ამბები დედოფლის ბიოგრაფიისა აქ უკვე არის.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ რომანში იგრძნობა დაკვირვებული თვალი მხატვრისა. ის ხატავს, ისე როგორც ფერწერის ოსტატი, მაგრამ ამ ნახატს არასოდეს სიტყვაწყლიანობა არ ახასიათებს, ამ ნახატს არ ახლავს თან, თუ შეიძლება ასე ითქვას კომენტარი, არ მოსდევს თან ახსნა-განმარტება; ისინი არც არიან საჭირონი, სწორედ იმიტომ, რომ აქ ყველა სახე ოსტატის ხელით არის ჩაქარგული სუჟეტში, თავის ადგილზე, ისე, როგორც ჰკარნახობდა მწერალს არა მარტო შესწავლა ისტორიისა, არამედ იმავე დროს ალღო სიმართლისა. მწერალი, შეიძლება ითქვას, ძალზე სიტყვაძუნწია, ძალზე ფრთხილია ყოველი სიტყვის შერჩევაში. ეტყობა მისთვის ამაოდ არ ჩაუვლია იმ შრომას, რომელიც გასწია ფრანგული კულტურის ისეთი შედევრების თარგმნის დროს, როგორიც არის დიდროს „რამოს ძმისწული" აბატ პრევოს „მანონ ლესკო", შოდერლო დე ლაკლოს „სახიფათო კავშირნი", ბენჟამენ კონსტანის „ადოლფი" და მოპასანის ნოველები; მისთვის ამაოდ არ ჩაუვლია შრომას, რომელიც მან გასწია სიტყვის შესანიშნავი ოსტატის ტინიანოვის „კუხლიას" თარგმნის დროს. ყოველივე ეს მწერალი ქალისათვის იყო სკოლა, დაუსრულებელი ძიება და სწავლა მხატვრული სტილისა და მანერის სფეროში; ამ მუშაობამ კარგი ნაყოფი მოიტანა. ქეთევან ირემაძის ორიგინალურ ნაწარმოებში სტილის დახვეწისა და სიტყვის ფაქიზი გემოვნებით შერჩევის დროს აუცილებლად იგრძნობა ნაყოფი ამ მუშაობისა, იგრძნობა ზეგავლენა ზემოხსენებულ ოსტატთა მანერისა.

ვნახოთ ეს კონკრეტულ მაგალითზე.

რომანის პირველი ნაწყვეტი იწყება გათენების აღწერით. აქ შთაბეჭდილებანი ისე ცოცხალია და მძაფრი, რომ მკითხველი გრძნობს — ავტორი სადღაც, თხოთის მთებში თითქოს თვითონ ხვდებოდა ამ გათენებას, რათა ხელახლა განეცადა გაზაფხულის ის დილა, როცა დედოფალს საბედისწერო ამბავი მოუტანეს. რომანში ვხედავთ, თუ როგორ იცრიცება ღამის ჩრდილები ნაადრევი გაზაფხულის დილით და რიჟრაჟის მკრთალ შუქზე თითქოს ხელახლა იხატება ბუნება — ნამით დართვილული ყვავილები, ტირიფის ხეები, ვენახები და, ალაგ-ალაგ ჩაქარგული ველური ყვავილები. თითქოს ეს გათენების შუქიც იმისთვის ჩნდება, რომ მწერალმა ფრთხილად გადასწიოს საუკუნეების ფარდა და წარსულის ნისლში გვიჩვენოს დარბაზი დედოფლისა მუხრანბატონთა სასახლეში, რომლის ხევანს არშიებად უვლის ცისთვალა, ენძელა და თეთრყვავილა, სადაც დილის მყუდროებაში მარტო გუშაგთა ნაბიჯები და აბჯართა ჩხარუნი აღწევს სასმენელს. და ამ ფონზე ღრმად [illegible] ბა მკითხველის [illegible] დედოფლისა. მისი პირველი გამოჩენისთა[nt] შეშფოთებით აღსავსე ნატიფი სახე, შა[...] ლაგინის კაბა ბეთადარის სარტყელშემო[...]ბული. ეს მხოლოდ პირველი გამოჩენაა [...]ვარი გმირისა; ავტორს ნოველა რომ დ[...]რა — აქვე უნდა ეთქვა ყველაფერი [...] გმირზე. რომანში კი მთელი ისტორია[...] ჩვენ ვხედავთ, რომ შემდეგ თავებში უ[...] ნათელი, უფრო სრული იქნება სახე დედოფლისა.

მაგრამ ჯერ დაუბრუნდეთ ისევ პი[რველ] სურათს. აი დედოფალს საზარელი, გაუ[...]რი ამბავი აცნობეს; კონსტანტინეს მამა [...] დაუხოცია, სპარსელებს კახელები ამოუწ[...]ტიათ, მთელი დარბაზი ქვითინებს. ხოლო [დე]დოფალი თითქოს არაფერს იმჩნევს. მ[...] ხმაში რაღაც სისასტიკე მოისმის და ე[...] ყრუდ ისმის. „კმარა... — აწყვეტინებს [...]ბის მთხრობელს — უბრძანეთ ცხენები მოემზადონ... ისწრაფე ბაიათარ"...

გავყვეთ შემდეგ: დედოფალი ცხენით [...]ხეთში მიდის. არაგვზე გადმოვიდნენ, რო[...]თა და ზავთით აწყდება მდინარე კლდ[...] უღაბური ტყით მოსილი მთები — შუბ[...]თული ჯარებივით მოსდევმიან ნაპირებს. [...]ზე, ჯარზე, სიკვდილზე ფიქრობს დედ[ოფა]ლიც. „ვფიცავ ზეცას, არ დავანებებ [...] და ძმის სისხლში განბანილ სამეფ[...] [...]გვინს" — ჩურჩულებს ის თავისთვის [...] ქეში ბუნებაც თითქო უფრო ამუქებ[...] მრისხანებას, ქალის—არა დედისა, არ[ამედ] [...]ფისა — არამედ ქვეყნის პატრონის — [დე]დლის; შემხვედრნი თავს უხრიან, ის კი [...] და თავისი ჩვეული სათნოებით არ მოიკ[...] ხალხს. გზად დედოფალი ღვთაების მონას[...]ში ითევს ღამეს. მაგრამ ვერც აქ იძ[...] ის. ძილი არ ეკარება მის თვალებს, ბ[...] ისე აწვება ყელში, თითქო სალაა დაარჩ[...] მკითხველი გრძნობს, რომ ის ვეღარა ხ[...] დედოფალი დგება, სახატეს უახლოვდება, წამდე დაჰხრის მაღალ შუბლს ისე, რომ [...]თა ჯაგლაგები დაბლა გადმოეშვებიან, [...] არ ლოცულობს, წყევლის, მუქარას წარ[...]თქვამს... მყუდრო საკანში ისმის თრთო[...] სავსე ხმა, ისე ნელად, თითქოს ქვეშეც[...]ლად ბაგე თავისით იპობა მწველი სიტყ[...] სათქმელად.

ამ თავში ყურადღებას იქცევს იმ სამხ[...] ბრძოლის აღწერა, რომელსაც სპარსელებთ [...]ბენ კონსტანტინესთან ერთად იმას თან[...] თუ როგორ დახვდნენ მოულოდნელად [...]ლოდებულ დედოფლის ლაშქარს. მაგრამ [...]ვარი მაინც ბრძოლის აღწერაა. ცნობ[...] თუ რაოდენ ძნელია გადმოსცე ბატალურ[...]რათი. დიდრო სწერდა: „ბატალური სუ[...] ყოველთვის წარმოადგენს წარმოსახვით[...] ოსტატობის საარაკო ნაწარმოებსო". დ[...] ამას ფერწერის შესახებ ლაპარაკობს, მ[...] ეს აზრი მიგვითითებს მხატვრული პროზ[...] სახეების სირთულეზეც, რომლებიც ბრძ[...]ველს ასახავენ.

და მაინც ამ სიძნელეთა მიუხედავად ქ. [...]მაძემ ეს ამოცანა დასძლია. რომანის პლ[...]ურად ჩამოკვეთილ სახეებში ჩანს სუ[...] ომისა: აი სეფე-დროშა, რომლის ქვეშ [...] ცხენზე ამხედრებული აბჯარშესხმული დ[ედო]ფალი მოდის, ხელშუბიანები მოსდევენ, [...] მარცხნივ ბექთარონსნები. ბოლოს მშვილდო[...] ქვეითნი, შორიახლო სამარქაფო ჯარის [...]ლეხი. შეტაკების წინ ფიცსა სდებს დე[დოფა]ლი, რომ დამარცხებული არ წავა, „ამი[...] იძახის ჯარი და მუხლს იყრის დედო[...] წინაშე. შემდეგ ლაღად გაიშლება ქარ[...] დროშა-ალამი და იწყება ფიცხელი შებმა[...] რომ ამ სურათის გადმოცემა აქ ძნელია[...] უნდა წაიკითხოთ თვით რომანში და [...] დაინახავთ: მწერლის თვალის ასწრებს და [...]ხებს იყოს ყველგან და ყველაფერი და[...] ყველაფერი შეამჩნიოს, ისიც თუ როგორ [...] ცქერის გამჭრიახი თვალით დედოფალი [...]ლის ველს, ისიც როგორ მიუხტება გა[...]ბული ლეკი ფალავანდიშვილს, რომ შ[...] წაიღოს, მაგრამ ფალავანდიშვილი მას [...]ზე ანარცხებს, ისიც, როგორ ლომივით [...]ძის გურზმომარჯვებული ერისთავი, [...] დროს გვიჩვენოს ციციშვილისა და ჯორჯ[...]ორთა ბრძოლა, — ის ახერხებს გვიჩ[...] ცალკე მებრძოლნი, და მთელი რაზმ[...] გვიჩვენოს როგორ გადასთელავს ქაიხ[...] ორბელიშვილი მტრის მარჯვენა ფრთას და [...]გორ ჰკლავს თამაზ ვაჩნაძე მოღალატე [კონს]ტანტინეს. მწერალმა ქალმა დახატა მ[...] ბრძოლაც და ცალკე შეტაკებანიც, დახატ[ა] ისტორიული ბრძოლა მთლიანშიც და კე[...]შიც, და ისე, რომ მკითხველს ყველა[...] ნათლად უჩვენა.

მესამე თავში მწერალს ირანში გად[...]ვართ. აქ შირაზის ქალაქის მოედანია აღწ[ერი]ლი; ნათლადაა დახატული მოედანზე მო[...] ფუსე ბრბო, — საშინელი სანახაობის ც[...] სურვილს, რომ მოუყვანია აქ. მათრახის[...]მით, ლანძღვა-თრევით მოარღვევენ [...] ალისფერ ქუდებით მოსილი ფერაშები. [...]ხულობენ ფირმანს, ჩანს, რომ ავტორს უსწავლია ეს აქსესუარი, ეს გარემო, ეს [ის]ტორიული რეალიები; ამ თავში მან დახა[...] საშინელი ფანატიზმის სული—მთელი [...] რომ მოუცავს და თითქოს ერთი კაცის [...] შეჰბღავის დედოფალს: „უარჰყავ" — სიტყვას სჭყივის მუშთეიდი, „უარჰ[...] ღრიალებენ დაფდაფებიც, რომლებსაც [...]ბის დროს უკრავენ. დედოფალი კი ს[...] ყოველგვარი ჩრდილი სევდისა წაშლილ[...] სახეზე, მის მშვიდ სახეს შარავანდედი მო[...]ნია, თითქოს რაღაც ნეტარება თამაშობს [...] სახეზე. აი ესაა სწორედ შეგნება და გ[...] იმ სამსხვერპლო ზვარაკობისა, რომელიც [...] ზემოთ ვახსენეთ; შემდეგ ხდიან მას ტან[...]მელს, გახურებული შანთებით უფლეთენ [...]ულს; ის კი სდგას უსაჩინოესი, — თი[თქოს] ვილაცამ წარიტაცა ტკივილები. წყლულნი [...]თქოს გაუყუჩდნენო; იწვის ის, ნაცრადქ[...]ლი თმა ცვივა მაღალი შუბლიდან, ჯა[...] ოფლს იშმენდს; ეს საზარელი, ჯოჯოხე[...] სურათია, შემაძრწუნებელი, გულის დამწ[...] დახატული მართლაც კარგი ოსტატის ხე[...].

თავდება წამება. ბრბოს გნიასს სიჩუმე ჰყვება, მარტოოდენ ხის ფოთოლნი თრ[...] შრიალებენ იდუმლად, ღამდება და თი[...] დილამდე კვამლი იკლაკნება იმ ადგი[...] სადაც კოცონზე დედოფალი დაწვეს.

რომანის ნაწყვეტების შემდეგ წიგნში დ[...]ლია ავტორის ნარკვევი ქართველ ქალ[...] —აქ მკითხველი ეცნობა ბარბარე ჯორჯ[...] ნინო ორბელიანის და სხვა გამოჩენილ ქა[...] ცხოვრებას და შემოქმედებას. წიგნის ს[...]ტიკა ამ მხრივ მთლიანია: „ლიტერატურ[...] მედალიონები" არის წიგნი ძველი საქარ[...]ლოს გამოჩენილი ქალების შესახებ.

გ. ნატროშვილ[ი]

სარედაქციო კოლეგია:
გ. ნატროშვილი (პ.-მგ. რედაქტორი), შ. რადიანი, გ. ქიქოძე, რ. შადური, ს. ჩიქოვანი, ვ. წულუკიძე, მ. ჭიაურელი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქუჩა, № 18. ტელეფონი № 3—47—10. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი".

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 098[illegible]